ალიურ-ბალიური სკანდალი A3

„თბილისის მოსახლეობა ელექტროენერგიის გაზრდილ ტარიფს არ გადაიხდის," - აცხადებს დავით მირცხულავა A3

ოსი კრიმინალები ქართველ პოლიციელს თავს დაესხნენ A3

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 30 აგვისტო, 2002 წელი. №89

ფასი 50 თეთრი

# წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა - საქართველოს სტაბილურობის გარანტი - მესამე ფაზაში შევიდა

ვერიკო თევზაძე

***„საქართველოში წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის არსებობა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტს, მის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას",*** *- განაცხადა პროგრამის მესამე ფაზის გახსნის გუშინდელ საზეიმო ცერემონიალზე პროგრამის ხელმძღვანელმა მაიორმა დევიდ გროსომ.*

წვრთნის და აღჭურვის პროგრამას ქართულ და ამერიკულ ოფიციალურ წრეებში განიხილავენ, როგორც აშშ-სთან ჩვენი ქვეყნის სამხედრო სფეროში მტკიცე თანამშრომლობის გარანტს, საქართველოში თანამედროვე პროფესიული არმიის ჩამოყალიბებისა და ქვეყნის უსაფრთხოების წინაპირობას.

პროგრამა საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარების რამდენიმე ძირითად მიმართულებას მოიცავს. მათ შორის მნიშვნელოვანია შერჩეული ქვედანაყოფების ოპერატიული შესაძლებლობების გაზრდა, რათა ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ჩატარდეს მცირე მოცულობის საბრძოლო, ანტიტერორისტული ოპერაციები.

პროგრამის ორი ფაზის განმავლობაში თავდაცვის სამინისტროში ჩამოყალიბდა და აღიჭურვა ეროვნული სამხედრო-სამეთაურო ცენტრი. ჩატარდა სამეთაურო სწავლების კურსი, რომელშიც 200-ზე მეტი ოფიცერი მონაწილეობდა. რაც შეეხება მესამე ფაზას, რომელიც გუშინ კრწანისის სასწავლო ცენტრში საზეიმოდ გაიხსნა, იგი ითვალისწინებს ტაქტიკურ მომზადებას. წინა ეტაპებზე ჩატარებული

გაგრძელება A2 გვერდზე



*ინსტრუქტორები მზად არიან მე-3 ფაზის დასაწყებად.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

# ამერიკის პოლიტიკური ელიტა და რუსეთი

## ხუთი საუკუნე და ერთი ათწლეული - რუსეთის ბედისწერა "დერჟავნოსტია"

ირაკლი არეშიძე

ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის ცენტრალური აზიის და კავკასიის ინსტიტუტი.

ზოგიერთი პოლიტიკური ანალიტიკოსი და მედია, ძირითადად ევროპასა და რუსეთში, ავრცელებენ აზრს პუტინისა და პრეზიდენტ ბუშის ახლო მეგობრობის შესახებ. პუტინი მართლაც ჩავიდა პრეზიდენტ ბუშის ცნობილ ტეხასურ რანჩოში. მავანთათვის ეს დიდ პატივად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ, ამერიკასთან და მის პრეზიდენტთან მეგობრობის ხარისხის გამოსარკვევ კრიტერიუმად მხოლოდ ხსენებულ რანჩოში სტუმრობას თუ გამოვიყენებთ, მაშინ დიდი ბრიტანეთი და პრემიერ-მინისტრი ბლერი ამ მაღალ სტატუსს დღეს ვერ დაიმსახურებენ. ასეთი ლოგიკით, რუსეთი და პუტინი ამერიკის უფრო ახლობელი მეგობრები არიან, ვიდრე დიდი ბრიტანეთი და ტონი ბლერი.

რუსეთსა და საქართველოს შორის ბოლო თვეებში განვითარებული მოვლენების გამო, უეჭველად საინტერესოა, როგორი შეხედულებები აქვს რუსეთის შესახებ ამერიკის პოლიტიკურ ელიტას და თეთრ სახლს. რა თქმა უნდა, კიდევ უფრო საინტერესოა, თუ რას ფიქრობს პირადად პრეზიდენტი ბუში.

უიშვიათესი გამონაკლისების გარდა, მართებული დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, თუ რეალურად რას ფიქრობს ნებისმიერი სერიოზული პოლიტიკური ლიდერი რომელიმე სხვა ქვეყანაზე, ან მის პირველ პირზე, რთული, ძალიან ძნელი და, რიგ შემთხვევებში, შეუძლებელია. სიმართლის გასაგებად ირიბ გზებს იყენებენ—სწავლობენ ლიდერთა მრჩევლების ძირითად შეხედულებებს და მათ იდეოლოგიას. პრეზიდენტი ბუში და მისი ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის სფეროს თითქმის ყველა წამყვანი პირი (სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის გარდა) ე.წ. ნეოკონსერვატიულ მიმდინარეობას ეკუთნის. მათ რიცხვში არიან ვიცე-პრეზიდენტი რიჩარდ ჩეინი, თავდაცვის მდივანი დონალდ რამსფელდი, მისი მოადგილე პოლ ვულფოვიცი, ნაციონალური უსაფრთხოების მრჩევლის მოადგილე სტივ ჰედლი, და ა.შ. ნეოკონსერვატორები ასევე მრავლად არიან ადმინისტრაციის უფრო დაბალი პოლიტიკური რანგის ჩინოსნებს შორის. პრეზიდენტის მრჩეველი ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში - კონდოლიზა რაისი, რესპუბლიკელთა წამყვანი იდეოლოგის - უილიამ კრისტოლის დახასიათების მიხედვით, **"სწავლის პროცესში მყოფი ნეოკონსერვატორია."** კრისტოლი გულისხმობს იმ ფაქტს, რომ ოთხმოციან წლებში რაისი შედარებით უფრო ტრადიციული, ძველი ყაიდის კონსერვატორული შეხედულებების მიმდევარი გახლდათ.

გაგრძელება A4 გვერდზე

# სექტემბერი ჩვეულებრივზე ცხელი იქნება

თამარ მაისურაძე

ბოლო დღეებში ჰაერის ტემპერატურის მკვეთრი კლების და ხანგრძლივი წვიმების გამო, მოსახლეობა მოსალოდნელ წყალდიდობაზე ალაპარაკდა.

გავრცელებული ხმებით, შავმა ღრუბელმა, რომელმაც თითქმის მთელი აღმოსავლეთ ევროპა წყლით დაფარა, ჩვენსკენ გადმოინაცვლა. ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტის პროგნოზირების სამსახურის უფროსმა ირაკლი ჩოგოვაძემ გვითხრა: **„ატმოსფეროში რაიმე განსაკუთრებული, სენსაციური ცვლილება არ მომხდარა. ამინდის შეცვლის ძირითადი მიზეზი ღრუბლის სქელი ფენა გახლავთ, რომელიც მარტივად რომ ვთქვათ, მზის სხივებს არ უშვებს მიწაზე, რის გამოც აცივდა. მართალია, აღმოსავლეთ ევროპიდან გარკვეული დოზით არის გავრცელებული ღრუბლის წარმოქმნის მექანიზმი, მაგრამ ეს საგანგაშო არ არის. სექტემბერში, საშუალო წლიურ ტემპერატურასთან შედარებით, ჰაერის ტემპერატურა მაღალი იქნება. ამის შემდეგ ძლიერი წვიმებიც არის მოსალოდნელი, თუმცა, არანაირი წყალდიდობის საშიშროება არ გვემუქრება."**

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 22 |
| ქუთაისი | 25 |
| ბათუმი | 23 |
| სოხუმი | 24 |
| ფოთი | 24 |
| თელავი | 21 |
| ზუგდიდი | 26 |
| გორი | 20 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1750 |
| ევრო | 2.1428 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3510 |
| რუბლი | 0.0688 |

# ანტიკრიმინალური ოპერაციის სერიოზული შედეგები ჯერ არ ჩანს

ინგა ალავიძე

უკვე ერთ კვირაა, პანკისი ქართველ სამართალდამცველთა იურისდიქციას დაემორჩილა. ერთი კვირაა, რაც ხეობაში ძალოვანთა მთელი შემადგენლობა იმყოფება. შინაგანი ჯარი და პოლიციელთა შენაერთები, რომელთაც მძიმე ტექნიკა უმაგრებს ზურგს, შს მინისტრის მეთაურობით, ფართომასშტაბიან ანტიკრიმინალურ ოპერაციას ატარებენ.

ოპერაციის ერთი კვირის თავზე საზოგადოებისთვის ცნობილია მხოლოდ ის, რომ ხეობაში 13 ბლოკ-პოსტი გაიხსნა, მათ შორის, აქამდე ისეთ მიუწვდომელ ტერიტორიაზეც, როგორიცაა ხეობის ყველაზე მაღალმთიანი სოფელი ომალო. სწორედ ომალოს მკვიდრი გახლდათ ვეფხია მარგოშვილი და ეს სოფელი კრიმინალთა ცნობილ თავშესაფრად ითვლება. საზოგადოებამ გაიგო ისიც, რომ, ჯერჯერობით, ანტიკრიმინალური ოპერაციის პირველი ეტაპი მიმდინარეობს, რაც კრიმინალთა დასაკავებლად მოსამზადებელ სამუშაოებსა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებას გულისხმობს, - ასეთ კომენტარს აკეთებს ახმეტის პოლიციის უფროსი ავთანდილ თურქიაშვილი.

ოპერაციის მეთაური, შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი თავის ხელქვეითებს კატეგორიულად უკრძალავს ინფორმაციის გაცემას. ანტიკრიმინალური ოპერაციის შედეგები, რატომღაც, მკაცრად გასაიდუმლოებულია. თუმცა, ჟურნალისტებს თელავში გუშინწინ ჩატარებული პოლიციური რაუნდის შესახებ ინფორმაცია, მართალია - მოგვიანებით, მაგრამ მაინც მიაწოდეს.

პოლიცია პანკისის ხეობაში გუშინწინ დაკავებული ძებნილის ვინაობას კარგა ხანს ასაიდუმლოებდა. ინფორმაციას გრიფი "საიდუმლო" გუშინ, თელავში, გენერალურ შტაბში დილით ჩატარებული ძალოვანი უწყებების მაღალჩინოსნების ტრადიციული ოპერატიული თათბირის შემდეგ მოეხსნა.

თელავში გუშინწინ, გამთენიისას ჩატარებული ანტიკრიმინალური

გაგრძელება A3 გვერდზე

# „იტერასთან" ქორწინება, შესაძლოა, მხოლოდ მომავალ წელს შედგეს

სოფიკო ოხანაშვილი

"თბილგაზსა" და "იტერას" შორის ერთობლივი საწარმოს შექმნასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევას მიეძღვნა გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომა. კომიტეტის შეხვედრას "თბილგაზის" ხელმძღვანელები, ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლები, სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი სოლომონ პავლიაშვილი და სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ისაკაძე დაესწრნენ.

"იტერასთან" ერთობლივი საწარმოს შექმნა საქართველოს მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, მაგრამ **"იტერასთან" ხელშეკრულება გაფორმდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირობები მისაღები იქნება საქართველოსთვის. ჩვენი მხრივ, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ხელშეკრულებაში მაქსიმალურად ჩაიწეროს საქართველოსთვის ხელსაყრელი და სასარგებლო პირობები",** - განაცხადა სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ გიორგი ისაკაძემ. **"იტერას" აქტივები ვალების სანაცვლოდ არ გადაეცემა, გპირდებით, რომ ამას არ დავუშვებ. ეს უკვე ჩემი ღირსების საკითხია",** - აღნიშნა სოლომონ პავლიაშვილმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# სახელმწიფო მინისტრი სისტემურ რეორგანიზაციაზე საუბრობს



*მათ უამრავი პრობლემა აქვთ გადასაჭრელი.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

სოფო ბუკია

პრეზიდენტის განკარგულება "ანტიკორუფციულ ღონისძიებათა გეგმის დამტკიცების შესახებ" ანტიკორუფციული საბჭოს წევრებმა 60 პროცენტით შესრულებულად გამოაცხადეს, თუმცა, სამინისტროებსა და უწყებებს შესრულების ხარისხი დაუწუნეს.

სახელმწიფო მართვის სისტემის ეფექტურობის ამაღლება, სამეწარმეო გარემოს ლიბერალიზება, სახელმწიფო სახსრების ფინანსური მენეჯმენტი, განათლების საკითხები, ძალოვანი უწყებები – ეს ის ძირითადი საკითხებია, რომლებიც პრეზიდენტის განკარგულებით იყო გათვალისწინებული.

სახელმწიფო მინისტრი ბოლომდე კმაყოფილი არ დარჩა ანტიკორუფციული საბჭოს მიერ გაწეული მუშაობით და პრეზიდენტის მიერ დასახული ანტიკორუფციული გეგმების შესრულების დაჩქარება მოითხოვა. **"უდაოდ დიდი სამუშაოა შესრულებული, მაგრამ უამრავი პრობლემა ისევ გადაუჭრელი დარჩა,"** -

გაგრძელება A2 გვერდზე

# ევროკავშირი საქართველოს დაბომბვას გმობს

შოთა უტიაშვილი

**ევროკავშირი გამოხატავს სერიოზულ შეშფოთებას ეუთო-ს სასაზღვრო დამკვირვებელთა მიერ დაფიქსირებულ სამხედრო თვითმფრინავების მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევასთან დაკავშირებით, რასაც საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში სოფლების დაბომბვა და მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი მოჰყვა.**

**ევროკავშირი მოუწოდებს ყველა მხარეს თავშეკავებული მოქმედებებისა და მეზობლების ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემისაკენ...**

აღნიშნული განცხადება, ევროკავშირის სახელით, მისმა თავმჯდომარე ქვეყანამ, დანიამ გაავრცელა. ევროკავშირი გამოთქვამს იმედს, რომ საქართველო სერიოზულ ნაბიჯებს გადადგამს პანკისის რეგიონში წესრიგის დასამყარებლად, – ნათქვამია განცხადებაში.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ინფორმაცია A2 პოლიტიკა A3 ეკონომიკა A3 სამართალი A4 პოლიტიკა A4 საზოგადოება

B2 სპორტი B3 რეკლამა B4 სხვადასხვა

**თბილისი.** ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, "გაერთიანებული დემოკრატების" და ტრადიციონალისტთა კავშირის მიერ დაფუძნებული საკოორდინაციო საბჭო სექტემბერში პირველ სხდომას გამართავს, რომელზეც სხვადასხვა თემატურ საკითხებზე 4 კომისიის შექმნის შესახებ მიიღებს გადაწყვეტილებას.

კომისიები საკონსტიტუციო ცვლილებების, საარჩევნო კოდექსის, ეკონომიკურ და ნატო-ს თანამშრომლობის საკითხებზე ჩამოყალიბდება. უკვე არსებობს სხვადასხვა მემარჯვენე პოლიტიკური ორგანიზაციების მოთხოვნა საკოორდინაციო საბჭოში გაერთიანებისა, თუმცა, ეს სექტემბერში დანიშნულ შეხვედრაზე გამოიკვეთება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მარუხის უღელტეხილის განაღმვის საკითხი 31 აგვისტოს კოდორის ხეობის ერთობლივი პატრულირებისას გადაწყდება. ქართულ მხარესთან ერთად პატრულირებაში მონაწილეობას მიიღებენ გაერო-ს და რუსი სამშვიდობოების წარმომადგენლები.

17-კილომეტრიანი დანაღმული ტერიტორიის განაღმვა ქართულ და აფხაზურ მხარეს ერთობლივად უნდა ეწარმოებინა, ხოლო დაკვირვებლებად გაერო-ს წარმომადგენლები იქნებოდნენ. განაღმვის დაწყებას აქამდე ის ფაქტი აფერხებს, რომ აფხაზური მხარე მოითხოვს გაერო-ს და რუს სამშვიდობოებთან ერთად შემოვიდეს კოდორის ხეობაში ქართული სოფლების გავლით, რასაც ქართული მხარე კატეგორიულად ეწინააღმდეგება. მანვე აღნიშნა, რომ 31 აგვისტოს პატრულირებისას გადაწყდება, რა ფორმით მიიღებენ აფხაზები მონაწილეობას მარუხის უღელტეხილის განაღმვის პროცესში. "თუ აფხაზებმა მაინცადამაინც ქართული სოფლების გამოვლით მოითხოვეს შემოსვლა კოდორის ხეობაში, მაშინ შესაძლებელია ისეც გადაწყდეს, რომ განაღმვა მარტო ქართველებმა განახორციელონ, აფხაზური მხარე კი მათ დანაღმული ტერიტორიის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის," - აცხადებენ თავდაცვის სამინისტროში. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ კატეგორიულად უარყო პანკისის ხეობაში ანტიკრიმინალურ ოპერაციებში ამერიკელი სამხედროების ჩართვის შესაძლებლობა.

მინისტრს მიაჩნია, რომ შინაგანი ჯარები და პოლიცია დამოუკიდებლად გაართმევენ თავს ოპერაციას და ხეობაში წესრიგს დაამყარებენ. "ამ ოპერაციაში არმიის ჩართვის აუცილებლობა არ დგას, თუმცა, თუ ეს საჭირო გახდება, შეიარაღებული ძალები ამისთვის ყოველთვის მზად არიან," - განაცხადა თევზაძემ. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** უკანასკნელი მონაცემებით ქვეყნის ტერიტორიაზე სადღეისოდ მხოლოდ 306 ლიცენზირებული ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ფუნქციონირებს, თუმცა, აღნიშნული სახის პუნქტების რეალური ოდენობა ოფიციალურს რამდენჯერმე აღემატება.

საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო-სადეპოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობის სამმართველოს უფროსის მზია ტეფნაძის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ვალუტის გადამცვლელ პუნქტებზე ლიცენზიის გაცემის უფლება მისი უწყების პრეროგატივაა, არალიცენზირებული ობიექტების გამოვლენის, აღწერის და, მით უმეტეს, ლიკვიდაციის უფლება მათი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება.

გარდა საგადასახადო სამსახურისა, ეროვნული ბანკი ლიცენზირებული გადამცვლელი პუნქტების შესახებ სრულ ინფორმაციას ძალოვან სტრუქტურებსაც აწვდის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სასაზღვრო უწყებას განზრახული აქვს, უახლოეს მომავალში გააძლიეროს რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთის, ინგუშეთის და დაღესტნის მონაკვეთების დაცვა, განაცხადა საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შტაბის უფროსმა კორნელი სალიამ.

საზღვრის გაძლიერება მოხდება საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების მიერ საზღვრისპირა რაიონებში დაწყებული ანტიტერორისტული და ანტიკრიმინალური ოპერაციის ფარგლებში.

რაც შეეხება რუსული მასმედიით გავრცელებულ ინფორმაციას საქართველოს სასაზღვრო საგუშაგოს "გირევის" რაიონიდან რუსეთის მესაზღვრეთა განაწესის დაცხრილვის შესახებ, კორნელი სალიამ განაცხადა, რომ იგი სინამდვილეს არ შეესაბამება.

ქართულმა სასაზღვრო უწყებამ რუს კოლეგებს აღნიშნული ინციდენტის ერთობლივი გამოძიება შესთავაზა, თუმცა, პასუხი ჯერ არ მოსულა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ცხინვალი.** გუშინ ცხინვალში დაიწყო შერეული კოლექტიური ძალების ოთხმხრივი შეხვედრა, რომელზეც ცხინვალის რეგიონიდან გატაცებული ქართველი ვიცე-პოლკოვნიკის ზურაბ დურგლიშვილის გათავისუფლების საკითხი დადგება. ასევე ქართველები ოსი და რუსი სამხედროების მიერ ნაცემი მევლუდ მაისურაძის საქმის გამოძიებას და დამნაშავეთა დასჯას მოითხოვენ. პარალელურად, სოფელ ქურთაში ქართველების მრავალრიცხოვანი მიტინგი დაიწყო ზურაბ დურგლიშვილის გათავისუფლების მოთხოვნით.

ოსური ხელისუფლების სამიგრაციო სამსახურმა, თავისი არსებობის მანძილზე პირველად, რეგიონში ქართველი ჟურნალისტების შეშვება აკრძალა. [illegible] არ დაუშვეს საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის, ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის, "იბერია"-ს და რადიო "იმედის" ჟურნალისტები. ჟურნალისტებმა სცადეს, დაკავშირებოდნენ რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდლობას, რომელმაც ასევე სასტიკი უარი განაცხადა ქართველი ჟურნალისტების კონფლიქტის ზონაში შესვლაზე. ოსეთის ტელევიზია მხედრებს დაესწრო და მას არანაირი პრობლემა არ შექმნია. სამშვიდობოებმა და რუსულმა მხარემ ქართველ ჟურნალისტებს უარის მიზეზი არ განუმარტეს და მხოლოდ იმას აღნიშნავდნენ, რომ ეს არის ბრძანება და მათ ბრძანების შესრულება ევალებათ. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**ახმეტა.** ახმეტაში შს და უშიშროების სამინისტროთა ძალებმა ერთობლივი ოპერაციის შედეგად დააკავეს, სავარაუდოდ, არაბი მოქალაქე, რომელსაც თან ჰქონდა ფრანგული პასპორტი. მას პასპორტის მიხედვით სავიზო რეჟიმი დარღვეული არ ჰქონდა. არაა გამორიცხული, რომ ამ პიროვნებას რამდენიმე ხმაურიან გატაცებასთან ჰქონდეს კავშირი.

საქმეს უშიშროების სამინისტრო იძიებს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**ახალციხე.** სამცხე-ჯავახეთში მოქმედი არარეგისტრირებული პარტია "ვირქის" ლიდერი დავით რსტაკიანი იმედოვნებს, რომ პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მხარს არ დაუჭერს პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებას საქართველოდან რუსეთის ბაზების გაყვანის შესახებ.

რსტაკიანმა განაცხადა, რომ ახალქალაქიდან რუსული ბაზის ფორსირებულმა გაყვანამ, შეიძლება, რეგიონში დესტაბილიზაცია გამოიწვიოს. მისი თქმით, ეს ბაზა ეკონომიკური სტაბილურობის გარანტია ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რომელთა უმრავლესობა იქ არის დასაქმებული. მან აღნიშნა, რომ ეს პოზიცია არ არის რეგიონში პრორუსული განწყობის შედეგი, არამედ უკავშირდება საქართველოს ხელისუფლებისადმი უნდობლობას, რომელსაც არ აინტერესებს სამცხე-ჯავახეთის პრობლემები. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**კახეთი.** კახეთში ხორბლის მოსავლის აღება პრაქტიკულად დასრულდა, უახლოეს დღეებში ეს პროცესი სამცხე-ჯავახეთში და შიდა ქართლშიც დამთავრდება

წლეულს ხორბლის მოსავალი დაახლოებით 200 ათას ტონას შეადგენს. შარშან კი 310 ათასი ტონა ხორბალი იყო აღებული. წლევანდელი ხორბლის ხარისხი, შარშანდელთან შედარებით, დაბალია. მოსავლიანობის შემცირება და ხარისხის გაუარესება დაბალი ხარისხის სათესლე მასალის გამოყენებამ და ასევე არახელსაყრელმა ამინდებმა განაპირობა. წლეულს მოწეულ ხორბალში წებოგვარას შემცველობა ძალზე დაბალია. მისგან წარმოებული ფქვილიც დაბალხარისხოვანია, ამიტომ პურფუნთუშეულის წარმოებისთვის მაღალხარისხიანი ფქვილის დამატება აუცილებელია. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**ჭუბურხინჯი.** გუშინ გამართულ ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრაზე გაერო-ს მისიამ რუსულ მხარესთან ერთად უარყო წინა კვირას გავრცელებული ინფორმაცია ოჩამჩირეში რუსული და აფხაზური მძიმე ტექნიკისა და ცოცხალი ძალის მობილიზების შესახებ. მათ, აგრეთვე, უარყვეს ტყვარჩელსა და წებელდაში რუსულ-აფხაზური ცოცხალი ძალისა და მძიმე ტექნიკის დისლოცირებაც. რამდენიმე დღის წინათ გაერო-ს მისიამ ტყვარჩელის ქარხანა „ზარიას" ტერიტორიის მონიტორინგი ჩაატარა. შეხვედრაზე მისიამ განაცხადა, რომ ქარხნის ტერიტორიაზე კაზაკთა ასეული და რუსულ-აფხაზური მძიმე ტექნიკა არ იმყოფება.

გაერო-ს მისიამ გუშინდელ შეხვედრაზე რამდენიმე დღის წინათ წებელდაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებიც წარადგინა. მისიის განცხადებით, წებელდაში არ იმყოფებიან რუსული ქვედანაყოფები და იქ მხოლოდ აფხაზური ასეულია დისლოცირებული. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**ერევანი.** მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობების გაუარესება შეიძლება ნეგატიურად აისახოს სომხეთის ეკონომიკაზე, - განუცხადა ჟურნალისტებს უშიშროების საბჭოს მდივანმა, სომხეთის თავდაცვის მინისტრმა სერჟ სარქისიანმა.

"ვიმედოვნებთ, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობები მალე გამოსწორდება და ის კეთილმეზობლურ დამოკიდებულებაში გადაიზრდება, თუ სიტუაცია არ შეიცვლება, ჩვენი პრობლემების რიცხვიც იმატებს," - განაცხადა მან.

სარქისიანის თქმით, ოფიციალური ერევნისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოში სტაბილურობის შენარჩუნება, რადგანაც სომხეთი მისი ტერიტორიის გავლით ახორციელებს ტვირთბრუნვას სხვა ქვეყნებთან. **კავკას-პრესი.**

# წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა - საქართველოს სტაბილურობის გარანტი - მესამე ფაზაში შევიდა

პირველი გვერდიდან

საშტაბო-სამეთაურო სწავლებები ამჯერად ტაქტიკური მეცადინეობებით შეიცვლება.

ტაქტიკურ წვრთნებს რეზერვისტებისა და მოქმედი სამხედრო მოსამსახურეებისგან დაკომპლექტებული 400-კაციანი ბატალიონი "კომანდო" გაივლის. ეს იქნება პირველი ბატალიონი, რომელსაც ამერიკელი ინსტრუქტორები მოამზადებენ. **"ჩემი ერის საქართველოსადმი მხარდაჭერის კიდევ ერთ გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ჩვენმა მთავარსარდალმა საქართველოში გამოგზავნა აშშ-ს სახმელეთო ჯარების სპეცდანიშნულების ჯგუფისა და საჰაერო ძალების საუკეთესო წარმომადგენლები, აშშ-ს ევროპული სარდლობის ერთგული პროფესიონალები. ისინი ქართული ქვედანაყოფების ტაქტიკურ სწავლებას ჩაატარებენ. სწავლება წარიმართება როგორც ინდივიდუალურად, ასევე მთლიანად მსუბუქი ქვედანაყოფების დონეზე. ბატალიონის წევრები შეისწავლიან საჰაერო გადაადგილების ტაქტიკას და მეთოდებს. ეს ყოველივე დაეფუძნება აშშ-ს სახმელეთო ჯარების გამოცდილებას",** - განაცხადა მაიორმა გროსომ.

ბატალიონ "კომანდოსთან" ერთად, სწავლებებს გაივლის სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ოცეული. **"ეს არის ჩვენი პირველი ოცეული, იგი რიგითებისგან შედგება. მომდევნო ეტაპებზე ახალ-ახალი ოცეულები მომზადდება. მოტოსამანევრო ჯგუფის რაოდენობა სულ 300 კაცით არის განსაზღვრული. ამ ეტაპზე მოტოსამანევრო ჯგუფმა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისიის უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოს. ახალი პოსტები უნდა გაიხსნას დაღესტნის საზღვარზე, გირევში, შატილისა და ინგუშეთის საზღვრის მონაკვეთზე, ასას ხეობაში",** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვალერი ჩხეიძემ.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

"კომანდოს" 400 წევრიდან 31 ოფიცერია, დანარჩენი – რიგითი. დღეს ალექსეევკას დასახლებაში ბატალიონს გადაეცემა სამხედრო აღჭურვილობა. მოგვიანებით მათ იარაღითაც მოამარაგებენ. პირველ ეტაპზე "კომანდო" რუსულ იარაღს დასჯერდება. ბატალიონის ხელმძღვანელის, კაპიტან მამია ბალახაძის ინფორმაციით, მომავლისათვის ნავარაუდევია ბატალიონის დასავლური ტიპის იარაღით უზრუნველყოფა.

ქართული და ამერიკული მხარეები წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის განვლილ ფაზებს წარმატებულს უწოდებენ. თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე ამ თემაზე საუბარს ზედმეტადაც კი მიიჩნევს. ეს მისი სიტყვებიდან ირკვევა: **"რომ არ ყოფილიყო წარმატება პირველ ეტაპზე, მეორე ეტაპი არ დაიწყებოდა, რომ არ ყოფილიყო წარმატება მეორე ეტაპზე, მესამე არ დაიწყებოდა"...** საზეიმო ცერემონიალზე თევზაძე, როგორც ყოველთვის, ახლაც სიტყვაძუნწობით გამოირჩეოდა. **"თქვენ გელოდებათ თქვენი ქვეყანა, თქვენს ქვეყანას თქვენი იმედი აქვს. მე გისურვებთ სიმამაცეს და შრომისმოყვარეობას, რათა ამ იმედის გამართლება შეძლოთ",** - სულ ეს იყო საქართველოს თავდაცვის მინისტრის სათქმელი "კომანდოს" წევრებისადმი.

პრეზიდენტი შევარდნაძე ბატალიონ "კომანდოს" საქართველოს შეიარაღებული ძალების ეტალონს უწოდებს. **"ამ ბატალიონიდან იწყება საქართველოს შეიარაღებული ძალების საფუძვლიანი რეფორმა",** - განაცხადა პრეზიდენტმა საზეიმო ცერემონიალზე.

საქართველოში ამერიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რიჩარდ მაილსის აზრით, **"პროგრამის მესამე ეტაპი არის ყველაზე ხანგრძლივი და ყველაზე მნიშვნელოვანი. ბევრი ოფიცერი, რომელმაც დაასრულა წვრთნის მეორე ფაზა, ახლა პანკისში მიმდინარე ანტიკრიმინალურ ოპერაციაში მონაწილეობს. ისინი პრეზიდენტ შევარდნაძის ბრძანებას ასრულებენ. წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა ხელს შეუწყობს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებას."**

პროგრამის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე პრეზიდენტმა შევარდნაძემ განაცხადა, რომ ამიერიდან კრწანისის სასწავლო ცენტრი 11 სექტემბრის მსხვერპლთა სახელობისა იქნება.

# სახელმწიფო მინისტრი სისტემურ რეორგანიზაციაზე საუბრობს

პირველი გვერდიდან

განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა და "გადაუჭრელ პრობლემებში" განსაკუთრებით ლიცენზირების შესახებ კანონპროექტი გამოარჩია. ლიცენზირების შესახებ კანონპროექტის ამოქმედება ჯორბენაძემ ერთ კვირაში მოითხოვა და ამის უზრუნველყოფა, ანტიკორუფციულ საბჭოსთან ერთად, თავის მოადგილეს, აკაკი ზოიძეს დაავალა.

ანტიკორუფციული საბჭოს ექსპერტთა აზრით, პარლამენტის მიერ ახალგამომცხვარი კანონი ლიცენზირების შესახებ არასრულყოფილია და დახვეწა სჭირდება.

ჯორბენაძე დიდ ცვლილებებს ელის, ასევე, ენერგეტიკის სფეროში და საფინანსო პოლიტიკის შექმნის შესახებ კანონპროექტის დაჩქარებასაც ითხოვს, რომელიც მთავრობის უახლოეს სხდომაზე უნდა განიხილონ. სახელმწიფო მინისტრი აღმასრულებელი ხელისუფლების სერიოზულ სისტემურ რეორგანიზაციაზეც საუბრობს.

**"ამ განკარგულების შესრულებაზე ბევრადაა დამოკიდებული კორუფციის დონის შემცირება, თქვენი მომავალი საქმიანობის ეფექტიანობა,"** – განუცხადა ჯორბენაძემ სამინისტროების წარმომადგენლებს.

როგორც ანტიკორუფციული საბჭოს ექსპერტი პალიკო კუბლაშვილი ამბობს, ანტიკორუფციული საბჭოს რეკომენდაციების მიმართ განსაკუთრებული გულგრილობა განათლების სამინისტრომ და მისმა ხელმძღვანელმა გამოიჩინა. **"განათლების სამინისტროში ყველაზე ნაკლებად გაითვალისწინეს ჩვენი რეკომენდაციები,"** - შესჩივლა კუბლაშვილმა სახელმწიფო მინისტრს. თავად განათლების მინისტრმა ალექსანდრე კარტოზიამ თავი იმით იმართლა, რომ განკარგულებაში მითითებული ღონისძიებების განსახორციელებლად დიდი დროა საჭირო. მისი თქმით, წლის ბოლოსთვის მის უწყებას ყველაფერი წესრიგში ექნება. **"დაჩქარდეს აღნიშნული განკარგულების შესრულება. განსაკუთრებით კი, დაჩქარდეს განათლების სამინისტროს რეფორმირების საკითხი,"** – დაასრულა თათბირი სახელმწიფო მინისტრმა.

## უცხოეთი

# მუგაბე: მხოლოდ იმ განაჩენს დავემორჩილები, რომელსაც სამართლიანად ჩავთვლი

მართალია, ზიმბაბვეს უმაღლესმა სასამართლომ რამდენიმე ათეული თეთრკანიანი ფერმერის წინააღმდეგ გაცემული კონფისკაციის სანქციები გააუქმა, მაგრამ პრეზიდენტი მუგაბე შავკანიანებს მაინც მოუწოდებს, თეთრების მიწებს დაეპატრონონ მანამ, სანამ წვიმების სეზონი დაიწყება და მიწის დამუშავება შეუძლებელი გახდება.

ზიმბაბვე საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც მისმა შავკანიანმა პრეზიდენტმა რობერტ მუგაბემ, დიდი ფერმების თეთრკანიანებისათვის ჩამორთმევისა და მათი ზანგებისათვის გადაცემის გზით, კოლონიური უსამართლობის აღმოფხვრა გადაწყვიტა.

კანონის გვერდის ავლით, მან თეთრკანიან ფერმერთა ერთი ნაწილი აიძულა, ქვეყანა დაეტოვებინა, ხოლო მათ, ვინც დარჩა, დაპატიმრებით ემუქრება. რაც შეეხება ჩამორთმეული ფერმებისათვის კომპენსაციას, მუგაბე მის გადახდას არ ჩქარობს. ოფიციალური პოლიტიკის თანახმად, ჩამორთმეული მიწები ღატაკ შავკანიანებზე უნდა გადანაწილდეს.

22 წლის წინ, როდესაც ზიმბაბვემ ბრიტანეთისაგან დამოუკიდებლობა მოიპოვა, თეთრების 4500 ოჯახი სასოფლო-სამეურნეო მიწების 70 პროცენტს ფლობდა. დღეისათვის 4400 თეთრი ფერმერი, დაახლოებით, იმდენსავე მიწას ფლობს, რამდენსაც მილიონამდე შავკანიანი. მუგაბე აცხადებს, რომ ეს უსამართლობაა და ყოფილმა მეტროპოლიამ - ბრიტანეთმა და სხვა ქვეყნებმა რა სანქციებიც არ უნდა დაუწესონ, იგი ამას მაინც აღმოფხვრის. ჩამორთმეული მიწებისათვის კომპენსაციის გადახდაზე უარს იგი იმით ხსნის, რომ თავის დროზე, როდესაც ბრიტანელმა კოლონიზატორებმა ადგილობრივ მოსახლეობას საუკეთესო მიწები წაართვეს, საზღაურის გადახდა არც უფიქრიათ.

მოკლედ, მუგაბეს პოლიტიკას ზოგი სამართლიანად მიიჩნევს, ზოგი - უსამართლოდ.

თუმცა, არის ორი გარემოება, რომელიც ამ კაცის საქმიანობას, მისი მსოფლმხედველობრივი საფუძვლების მიუხედავად, ბევრისათვის მიუღებლად აქცევს.

პირველი, ძალიან ადვილი წარმოსადგენია, ვის ხელში ხვდება ჩამორთმეული ფერმები ისეთ ქვეყანაში, სადაც პრეზიდენტი, თავისი მინისტრებით, თავს კანონზე მაღლა აყენებს. პრეზიდენტის მეუღლე, ნათესავები, უმაღლესი სამხედრო და ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა საუკეთესო მიწებს იგდებენ ხელში. ღარიბი შავკანიანები კი, რომლებიც იმედოვნებდნენ, რომ მუგაბე სამართლიანობას აღადგენდა და მათ რაღაცას მაინც მისცემდა, პირში ჩალაგამოვლებულები დარჩნენ. მათ, ბევრი სხვა ქვეყნის მოქალაქის მსგავსად, ძალზე გვიან გაიგეს, რომ, მთავარია, მთავრობას კანონის დარღვევის უფლება არ მისცე, თორემ, თუ მიეცი, ყოველთვის თავის სასარგებლოდ დაარღვევს და არა იმათ სასარგებლოდ, ვისი სახელითაც ამას აკეთებს.

მეორე, სანამ მუგაბე ისტორიულ სამართლიანობას აღადგენდეს, მოსახლეობის ნახევარი შიმშილობს და თუ უცხოური დახმარება დროზე არ მიუსწრებს, სექტემბრის ბოლოსათვის, საერთოდ, ყოველგვარი საკვების გარეშე დარჩება.

# ევროკავშირი საქართველოს დაბომბვას გმობს

პირველი გვერდიდან

მართალია, ევროკავშირის განცხადება დაბომბვიდან 6 დღის შემდეგ გაკეთდა და მასში "რუსეთი" საერთოდ არ არის ნახსენები, მაგრამ იგი მაინც საქართველოსადმი სერიოზული მხარდაჭერის გამოხატულებაა. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ პუტინი და კომპანია დაბომბვის ფაქტს საერთოდ უარყოფენ.

საქართველოს მხარდამჭერი კიდევ ერთი განცხადება გააკეთა შეერთებულმა შტატებმა. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა რიჩარდ ბაუჩერმა განაცხადა, რომ, მისი მთავრობის აზრით, პანკისის პრობლემას საქართველომ თავად უნდა მოუაროს. ბაუჩერმა კიდევ ერთხელ დაგმო საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევა, **"რომლის უკანასკნელი შემთხვევაც 23 აგვისტოს დაფიქსირდა".** ბაუჩერმა საქართველოსა და რუსეთს მოუწოდა დიალოგის გააქტიურებისაკენ, ხეობაში დარჩენილი საერთაშორისო ტერორისტებისა და ჩეჩენი მებრძოლების პრობლემის გადასაჭრელად.

# საარჩევნო ტრიუკი: სეხნიები

ნიჟნი-ნოვგოროდის სასამართლომ დაადასტურა ადგილობრივი საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება, რომელიც სეხნიებს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას აძლევს. სასამართლოში სარჩელი დუმის დეპუტატმა ვადიმ ბულავინოვმა შეიტანა. მას მომავალ არჩევნებში გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი აქვს. ბულავინოვი უჩივის ადგილობრივ უმუშევარს, რომელმაც რამდენიმე თვის წინ სახელი და გვარი შეიცვალა, დაირქვა ვადიმ ბულავინოვი და არჩევნებში თავისი კანდიდატურა წამოაყენა. მას შემდეგ ეს კაცი აღარავის უნახავს. იგი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება და პოლიცია ეძებს. "ნამდვილი" ბულავინოვი ამ კაცის კანდიდატთა სიიდან ამოღებას ითხოვდა, მაგრამ დამარცხდა.

"რადიო თავისუფლების" ცნობით, "სეხნიების" გამოყენება რუსეთის რეგიონალურ არჩევნებში საკმაოდ გავრცელებული ფანდია.

# პალესტინელები მორიგი შურისძიებისთვის ემზადებიან

დღეს ისრაელის უშიშროების სამსახურები ავრცელებენ ბუკლეტებს, რომლებშიც აღწერილია, როგორ უნდა ამოვიცნოთ ტერორისტი კამიკაძე. ნიშნები შემდეგია: ადამიანს აცვია არასეზონური ტანსაცმელი; ცდილობს, შეძვრეს ბრბოში, სადაც არაფერი ესაქმება; ნელა მოძრაობს და გახშირებული სუნთქვა აქვს, ტანსაცმელში მალავს რაღაც ფუთებს; აღელვებული თავისთვის რაღაცას ბუტბუტებს.

"ჰამასის" ერთ-ერთი ლიდერი მაჰმუდ ალ ზაჰარი ამტკიცებს, რომ ებრაელები თავიანთი ქალაქების ქუჩებში სულ მალე ამგვარი აღწერილობის მრავალ ადამიანს დაინახავენ. "როდესაც მშვიდობიანი პალესტინელი კვდება, მშვიდობიანი ებრაელიც უნდა მოკვდეს," – განაცხადა მან.

გუშინ სამშვიდობო მოლაპარაკების მორიგი მცდელობა ჩაიშალა. ეს ინიციატივა დასავლეთ სანაპიროს ქალაქებიდან და ღაზას სექტორიდან ისრაელის ჯარების ეტაპობრივ გაყვანას გულისხმობდა. სამაგიეროდ, პალესტინელები ტერორის შეწყვეტის ვალდებულებას კისრულობდნენ.

მას შემდეგ, რაც გუშინ ისრაელის არმიამ ოთხი უდანაშაული არაბი მოკლა, პალესტინის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებას წყვეტს.

55 წლის ქალი, მისი ორი შვილი და მათი ბიძაშვილი ღაზას სექტორში ტანკის მიერ გასროლილი ყუმბარის აფეთქებას შეეწირა. ისრაელის ტანკები ღაზას სექტორში მას შემდეგ შევიდნენ, რაც პალესტინელებმა ერთ-ერთ ებრაულ დასახლებას რამდენიმე ბომბი ესროლეს, რასაც მსხვერპლი არ მოჰყოლია. ამავდროულად, ისრაელის არმიის განცხადებით, მათ აღმოაჩინეს იარაღის მსხვილი პარტია, რომელიც პალესტინელებისათვის იყო განკუთვნილი.

ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ბენ-ელიაზერმა ბოდიში მოიხადა ამ ინციდენტისათვის და სამხედროებს გამოძიების ჩატარება მოსთხოვა.

არაფატმა ამ ფაქტს სამშვიდობო მოლაპარაკებების ჩასაშლელად გამიზნული შეგნებული დანაშაული უწოდა. პალესტინური მხარე აცხადებს, რომ ისრაელს სამშვიდობო მოლაპარაკებების შეწყვეტა და პალესტინის ქალაქებში ჯარის დატოვება სურდა და ამიტომ წავიდა ამ პროვოკაციაზე.

გამომცემელი — რუსთავი 2 [illegible]

# „თბილისის მოსახლეობა ელექტროენრგიის გაზრდილ ტარიფს არ გადაიხდის," - აცხადებს დავით მირცხულავა

სოფო კვინტრაძე

***"ერთი სიტყვით, ზამთარს კარგად ვხვდებით,"*** *– სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის ამგვარი კმაყოფილება სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას მიერ წარმოდგენილმა ზამთრის გეგმებმა გამოიწვია. მირცხულავამ სახელმწიფო მინისტრის ყველა შეკითხვას გასცა პასუხი. შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი "დათბობა" და ერთსულოვნება მთავრობაში კარგა ხანია, არ ყოფილა.*

შეხვედრაზე, რომელსაც ენერგოსექტორის თითქმის ყველა უწყების ხელმძღვანელი პირი ესწრებოდა, მარტო დავით მირცხულავა ლაპარაკობდა. როგორც ჩანს, საკმაოდ წარმატებულადაც, რადგანაც სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს მომავალი ზამთრის გათბობისა და განათების პერსპექტივებში ეჭვი აღარ ეპარება. სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დარწმუნებულია, რომ ქვეყანა ზამთარს საკმაოდ მომზადებულად ხვდება. მინისტრის თქმით, წყლის რესურსების ამგვარი სიუხვე, როგორიც ამჟამადაა, რამდენიმე წელია, საქართველოში არ დაფიქსირებულა, რაც, თავის მხრივ, ელექტროენერგიის საკმარისი რაოდენობით გამომუშავების გარანტიაა. გარდა ამისა, დავით მირცხულავამ სახელმწიფო მინისტრს რამდენიმე საკითხის წარმატებულად გადაჭრის შესახებაც აუწყა, მათ შორის, აფხაზეთის ენერგოგამანაწილებელ კომპანიებსა და ენგურჰესს შორის დადებულ ხელშეკრულებაზეც. 1992-93 წლიდან აფხაზეთი უფასოდ იღებდა ელქტროენერგიას. უახლოეს ხანებში კი ხელი მოეწერება ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც აფხაზეთის ენერგოგამანაწილებელი კომპანიები ელექტროენერგიას ენგურჰესისაგან იყიდიან და სრულად გადაიხდიან მის საფასურს. მირცხულავას განცხადებით, ეს ხელშეკრულება ენგურჰესისათვის დამატებითი შემოსავლის წყარო გახდება.



*"ერთი სიტყვით ზამთარს კარგად ვხვდებით."* ლევან ხერხეულიძის ფოტო

დავით მირცხულავამ ისაუბრა, აგრეთვე, ირლანდიული კომპანიის ESBI-ს საქართველოში ჩამოსვლის შესახებაც. მირცხულავას განცხადებით, ქართულმა მხარემ ყველა ვალდებულება შეასრულა, რაც მოლაპარაკებების პროცესში წარმოიშვა. სექტემბერში ირლანდიული კომპანია "ელექტროდისპეტჩერიზაციასა" და "ელექტროგადაცემაში" მართვის უფლებით შევა. სახელმწიფო მინისტრმა კმაყოფილება გამოთქვა, რომ ირლანდიული კომპანია აღნიშნულ უწყებებში 38 მილიონი დოლარის ინვესტირებას აპირებს.

ჟურნალისტებთან საუბრისას სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა კიდევ ერთხელ მოიყვანა თავისი არგუმენტი "თბილგაზის" "იტერასთვის" გადაცემის აუცილებლობის შესახებ. მინისტრი დაბეჯითებით აცხადებს, რომ თბილისის გაზგამანაწილებელი სისტემა ავარიულ მდგომარეობაშია და სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებს. მირცხულავა შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთ სწორ გამოსავალს ერთობლივი კომპანიის - "იტერა-ჯორჯიის" შექმნაში ხედავს.

შეხვედრაზე ლეგენდარული 9 მილიონი დოლარიც ახსენეს, ოღონდ ამჟამად ლარებში გადაანგარიშებული. სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი აცხადებს, რომ გაზრდილ ტარიფს მოსახლეობა არ გადაიხდის. განსხვავება ტარიფში დაიფარება 18 მილიონი ლარით, რომელიც განსაკუთრებული მექანიზმით იქნება მობილიზებული მთავრობის მიერ.

ასე რომ, მთავრობა ზამთარს საკმაოდ ოპტიმისტურად ხვდება, თუმცა, ძნელი სათქმელია, რამდენად გაიზიარებს მათ ოპტიმიზმს მოსახლეობა, რომელსაც საკმაოდ მკაცრი ზამთრების გამოცდილება აქვს და მინისტრების დაპირებებიც უხვად მოუსმენია.

# ალიურ-ბალიური სკანდალი

გუშინ სკანდალების მოყვარულმა გაზეთმა "ალიამ" საზოგადოებას მორიგი "სკანდალი" შესთავაზა. თურმე, გაზეთი "24 საათი" კომპანია "ჯორჯია ონლაინის" მიერ დამალული 2,5 მილიონი დოლარით გამოდის. "ჯორჯია ონლაინი", სხვა ქართულ სატელეფონო ოპერატორებთან ერთად, თურმე, სარგებლობს "საქართველოს ელექტროკავშირის" მოძველებული ტექნიკით და ამ კომპანიას შემოსული და გამავალი ზარებისგან მისაღებ შემოსავლებს უმალავს. როგორც "ალია" წერს: "შავი" ფულის გასაკეთებლად სატელეფონო კომპანიებს დიდი გამომგონებლობა არ სჭირდებათ. თურმე, არსებობს "ელექტროკავშირი", რომლის ხარჯზეც ყველაფრის მოგვარება ძალიან იოლია. "ელექტროკავშირს" მემკვიდრეობით ძველი საბჭოური ქსელი და მოწყობილობა ერგო. მის აპარატურას შემავალი და გამავალი ზარების აღრიცხვა არ შეუძლია... სწორედ ამიტომ, "ელექტროკავშირს" მუდმივად ჰქონდა ფინანსური პრობლემები. მისი მდგომარეობა მხოლოდ ბოლო რამდენიმე თვეა, რაც გამოსწორდა".

"ალიას" ჟურნალისტის სიზარმაცის (არაპროფესიონალიზმი და უვიცობა რომ არ დავწამოთ) გამო, "24 საათის" კორესპონდენტი იძულებული გახდა, "საქართველოს ელექტროკავშირის" საფინანსო სამსახურის უფროსს, მერაბ კანკავას თავად სწვეოდა და გასაუბრებოდა ამ კომპანიაში შექმნილი ვითარების თაობაზე. როგორც მერაბ კანკავამ განაცხადა, კომპანიაში ვითარება, მართლაც, გამოსწორდა საერთაშორისო სადგურის - "91"-ის ამოქმედების შემდეგ, რომელიც საშუალებას იძლევა, დათვალოს ამ სადგურზე შემოსული და გამავალი სატელეფონო ზარების რაოდენობა.

**"რაც შეეხება გამავალ ტრაფიკს, ამ შემთხვევაში, დამალვა გამორიცხულია",** - განაცხადა კანკავამ. მისი თქმით, ახალი სადგურის ამოქმედებამდე "ელექტროკავშირს" საშუალება არ ჰქონდა, სრულად აღერიცხა ტრაფიკი. **"მაშინ ჩვენ ვიყენებდით სხვა კომპანიების ინფორმაციას. თუმცა, ეს არ ეხებოდათ იმ ოპერატორებს, რომელთა თანხების ამოღებასაც უშუალოდ ჩვენ თვითონ ვახორციელებდით. მათ შორის იყო "ჯორჯია ონლაინი",** - აღნიშნა კანკავამ. გამოდის, რომ "ელექტროკავშირი" სრულად აღრიცხავდა "ჯორჯია ონლაინის" მეშვეობით გამავალ სატელეფონო ზარებს.

ორი კომპანიის ასეთი ურთიერთობა 2002 წლის თებერვლამდე გაგრძელდა. ამდენად, ინფორმაციას ამ პერიოდამდე "შავი" ტრაფიკისა და "ელექტროკავშირის" ხარჯზე გამდიდრების შესახებ, პირველ რიგში, "ელექტროკავშირში" არ აღიარებენ. 2002 წლის ივნისში კი "ელექტროკავშირი" ახალი სადგურის ამოქმედებით იწყებს შემავალი და გამავალი ზარების კონტროლს. ასე რომ, "ჯორჯია ონლაინს", "ალიას" ვერსიით, "24 საათის" გამოშვებისათვის საჭირო 2,5 მილიონი დოლარის დაგროვება 2002 წლის მარტი-მაისის პერიოდში უნდა მოეხერხებინა. ავიღოთ "ჯორჯია ონლაინსა" და "საქართველოს ელექტროკავშირს" შორის ურთიერთშედარების შედეგად დადგენილი შემომავალი ზარების რაოდენობა 2002 წლის იანვრიდან ივლისის ჩათვლით: იანვარი – 342 ათასი ზარი, თებერვალი – 237 ათასი ზარი, მარტი – 236 ათასი, აპრილი – 308 ათასი, მაისი – 290 ათასი, ივლისი – 251 ათასი ზარი.

თემურ კანკავას ინფორმაციით, ივნისში ახალი სადგურის ამოქმედების შემდეგ, ტრაფიკმა ათ პროცენტამდე მოიმატა და ის თვეში 200-250 ათას ზარს შეადგენს. ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ დაახლოებით ამდენივეა ყოველთვიურად "ჯორჯია ონლაინისგან" განხორციელებული ტრაფიკი. გამოდის, რომ შემომავალი სატელეფონო ზარების რაოდენობის ზრდა სხვა ოპერატორებზე მოდის, რომელთა შესახებაც "ალია" ჯიუტად დუმს.

რაც შეეხება "ჯორჯია ონლაინიდან" "ელექტროკავშირში" შემავალ ზარებს, იგი ხორციელდებოდა და აღირიცხებოდა "საქართველოს ტელეკომის" საკომუტაციო სადგურის მიერ, "ტელეკომსა" და "ონლაინს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშსწორებას "ელექტროკავშირთან" "ტელეკომი" აწარმოებდა.

და ბოლოს, იმ ჟურნალისტური მოკვლევის შესახებ, რომელიც "24 საათმა" აწარმოა. როგორც ჩანს, "ალიას" ჟურნალისტს საერთოდ არ წაუკითხავს ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული სტატიების ციკლი, რომლითაც ფარული გარიგება, საქართველოს ცალკეულ სამთავრობო წრეებსა და საეჭვო წარმომავლობის კომპანია "სელფორდს" შორის, საჯაროდ ვაქციეთ. იგი მიზნად ისახავდა ამ კომპანიისა და მისი საქმიანი პარტნიორების მიერ "საქართველოს ელექტროკავშირის" ხელში ჩაგდებას. რა იყო ამის მიზეზი? ისეთი გამჭვირვალე კომპანია, როგორიც "ჯორჯია ონლაინია", პირიქით, მიესალმება "ელექტროკავშირში" ბოლო დროს აშკარად შესამჩნევ პროგრესს, რაც, პირველ რიგში, გამოიხატა აღრიცხვიანობის მოწესრიგებაში. ბუნებრივია, ეს ხელს არ აძლევთ სწორედ იმ ოპერატორებსა და მათ მფარველებს სამთავრობო წრეებში, რომლებიც ხელს ითბობენ აღურიცხავი ტრაფიკით მიღებული უკანონო შემოსავლით.

ასევე ეჭვს იწვევს ის ფაქტი, რომ "ალიას" ჟურნალისტს თავის სტატიაში "სელფორდი", ამ დავიდარაბის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, არც კი უხსენებია.

და კიდევ ერთი უმნიშვნელო შენიშვნა. ნორვეგიული სატელეკომუნიკაციო კომპანიის დასახელებაა არა "ტელენოლი", როგორც ამას "ალია" ამტკიცებს, არამედ "ტელენორი".

*"24 საათი"*

**P.S. ღირსეული გაზეთის გამოშვება არც ორნახევარი მილიონით შეიძლება და არც ოცდახუთი მილიონით. ღირსეული გაზეთის გამოშვებას ნიჭი, ცოდნა და, რაც მთავარია, პროფესიული კეთილსინდისიერება სჭირდება.**

# „იტერასთან" ქორწინება, შესაძლოა, მხოლოდ მომავალ წელს შედგეს

პირველი გვერდიდან

გიორგი ისაკაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრობა მიზნად არ ისახავს მხოლოდ კარს მომდგარი ზამთრის "გადაგორებას" და პრობლემების ერთჯერად მოგვარებას. აქედან გამომდინარე, **"ეს მხოლოდ ზამთრისთვის არ კეთდება. პირადად მე მეხანძრის პრინციპით არ ვმოქმედებ. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ "თბილგაზთან" დაკავშირებული პრობლემა მთლიანად აღმოიფხვრას. მუშაობა ეს-ეს არის, იწყება. ეს მოლაპარაკებები, მინიმუმ, 1 ნოემბრამდე გაგრძელდება, რათა ჩვენი ქვეყნისთვის მაქსიმალურად სასარგებლო შედეგი მივიღოთ",** - აღნიშნა სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ.

გიორგი ისაკაძე ხელმძღვანელობდა სამთავრობო დელეგაციას, რომელიც რამდენიმე დღის წინათ, "იტერასთან" მოლაპარაკების წარმართვის მიზნით, მოსკოვში იმყოფებოდა. სოლომონ პავლიაშვილის განცხადებით, ჯერჯერობით, **"საუბარია მხოლოდ განზრახულობათა ოქმის პროექტზე. მოლაპარაკება საპროექტო დონეზეა."** გიორგი ისაკაძის ინფორმაციით კი, ასევე არ არის ცნობილი, ერთობლივ საწარმოში თუ რა წილით შევლენ მხარეები. წილობრივ გადანაწილებაზე მხარეები ჯერ არ შეთანხმებულან. **"მე ჯერ ვერ გეტყვით, ორმოცდაცხრა და ორმოცდათერთმეტი პროცენტი იქნება, ორმოცდაათი ორმოცდაათზე თუ სხვა მონაცემები",** - აღნიშნა სახელმწიფო მინსტრის მოადგილემ.

სხდომაზე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია "იტერას" უალტერნატივობის საკითხმა. სოლომონ პავლიაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ, ამ ეტაპზე, "ჩვენი ძალებით" "თბილგაზის" პრობლემის მოგვარება შეუძლებლად მიაჩნია. ამის მიზეზად კი ის დაასახელა, რომ დარგის რეაბილიტაციას 120 მილიონი აშშ დოლარი და გამოცდილი მენეჯმენტი სჭირდება. **"ჩემი აზრით, ამ ეტაპზე ალტერნატივაზე და ამ პრობლემის ჩვენი ძალებით მოგვარებაზე საუბარი ძალიან რთული, მე ვიტყოდი, შეუძლებელია. ეს ძალიან საფრთხილო საქმეა",** - აღნიშნა ქონების მართვის მინისტრმა.

პავლიაშვილის პოზიცია არ გაიზიარა ბარამიძემ, პირიქით, მან "იტერას" უალტერნატივობა პოლიტიკურ გადაწყვეტილებად მონათლა, თუმცა, ამაში დაინტერესებულების ვინაობა არ დაასახელა. გიორგი ბარამიძე დარწმუნებულია, რომ "თბილგაზის" პრობლემის მოგვარება სახელმწიფოს საკუთარი ძალებით შეუძლია, ამიტომ მან აღმასრულებელ ხელისუფლებას, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ამ მიმართულებით უკვე არსებული პროექტების განხილვა შესთავაზა. ბარამიძის პოზიციას თბილისის საკრებულოს ფრაქცია "თბილისის" ხელმძღვანელი დავით ხუციშვილიც დაეთანხმა. **"ჩემი აზრით, პირველ რიგში, ადგილობრივი პროექტები უნდა განიხილოთ. ისე, საინტერესოა, ჩვენი მთავრობა ამას აქამდე რატომ არ აკეთებდა",** - აღნიშნა ხუციშვილმა.

გიორგი ისაკაძემ განაცხადა, რომ არსებული პროექტების განხილვის მიმართულებით მუშაობას აღმასრულებელი ხელისუფლება აუცილებლად განახორციელებს. სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტს, ფრაქცია "დემოკრატებს", არასამთავრობო ორგანიზაციებს და გაზის სექტორში არსებული მდგომარეობით დაინტერესებულ პირებს თანამშრომლობა შესთავაზა და იქვე დაამატა, რომ **"საზოგადოებრიობისა და სპეციალისტების აზრის გაუთვალისწინებლად, მთავრობა გადაწყვეტილებას არ მიიღებს".**

## სამართალი

# ანტიკრიმინალური ოპერაციის სერიოზული შედეგები ჯერ არ ჩანს

პირველი გვერდიდან

ოპერაციის შედეგად დაკავებული პიროვნების ვინაობა გამჟღავნდა, იგი ქურდობის, იარაღის უკანონო ტარებისა და პოლიციელის სიცოცხლის ხელყოფისთვის ძებნილი ალექსანდრე ქამქაძე აღმოჩნდა.

თელაველ ალექსანდრე ქამქაძეს შს სამინისტრო მესამე წელია, თელავში ჩადენილი დანაშაულისთვის ეძებდა. 1999 წლის 19 თებერვალს, თელავში ჩადენილი ქურდობის შემდეგ, ქამქაძისა და მისი სამი მეგობრის დაკავების ოპერაციისას, პოლიციის თანამშრომლებსა და დანაშაულში ეჭვმიტანილებს შორის შეტაკება მოხდა. ქამქაძის სამივე პარტნიორი პოლიციამ დააკავა, ქამქაძემ კი, რომელმაც თელავის პოლიციის თანამშრომლები მძიმედ დაჭრა, გაქცევა მოახერხა. კახეთის რეგიონის პოლიციის უფროსის ზურაბ ტუშურის ინფორმაციით, ქამქაძე წლების მანძილზე პანკისის ხეობაში მის მეგობარ კრიმინალებთან აფარებდა თავს და მას შემდეგ, რაც ხეობაში ძალოვანები შევიდნენ, სამალავი გამოიცვალა, თელავში, საკუთარ სახლში გადავიდა. ამჟამად, ალექსანდრე ქამქაძე თელავის პოლიციის წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება და თელავის პროკურატურას ჩვენებებს აძლევს. სამართალდამცველები მტკიცებულებების შეგროვება-გამყარებაზე მუშაობენ, რის შემდეგაც მოხდება დაკავებულისათვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდება.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ანტიკრიმინალური ოპერაციის კიდევ ერთი რაუნდი გუშინ გამთენიისას ჩატარდა. კანონდამცველებმა დააკავეს სოფელ ენისელში მცხოვრები ძმები ცაცაშვილები, რომლებიც ახმეტის მკვიდრის, გიორგი გურგენიძის განზრახ მკვლელობაში არიან ეჭვმიტანილები.

კახეთის რეგიონისა და ახმეტის რაიონის პოლიციის მიერ შეგროვებული მონაცემები, სხვადასხვა მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის ძებნილი 100-ზე მეტი კრიმინალის სამალავის შესახებ, ანტიკრიმინალური ოპერაციის ხელმძღვანელებს გუშინწინ გადაეცათ.

საქართველოს შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები, ასევე სხვა მაღალი რანგის ძალოვანები კვლავ პანკისის ხეობაში იმყოფებიან და ხეობის შემოვლა-დათვალიერებას აგრძელებენ. თუმცა, როდის დაიწყება ან, საერთოდ, შედგება თუ არა "მსხვილფეხა" კრიმინალთა დაკავების ოპერაციები, ამის შესახებ პასუხს არავინ იძლევა. **"ასეთი ოპერაცია ჯერ არ დაგეგმილა და როდის დაიგეგმება, ვერ გეტყვით. ჯერ ოპერატიულ ღონისძიებებს ვატარებთ. სერიოზული ინფორმაციები გაგვაჩნია ხეობაში დამალულ ადამიანთა გამტაცებლებზეც, ბევრ სხვაზეც,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ახმეტის პოლიციის უფროსმა ავთანდილ თურქიაშვილმა. ანტიკრიმინალურ ოპერაციას ფონი შეუქმნა გავრცელებულმა ინფორმაციამაც, რომლის მიხედვითაც კრიმინალური დაჯგუფების მიერ ტყვედაყვანილი რამდენიმე გატაცებული, მათ შორის, ინგლისელი პიტერ შოუც, ხეობაში იმყოფება და სწორედ მათ გასათავისუფლებლად დაიგეგმა ანტიკრიმინალური ოპერაცია. ახმეტის პოლიციის უფროსმა გავრცელებული ინფორმაცია კატეგორიულად უარყო: "ჩემთვის არაფერია ცნობილი პიტერ შოუს ხეობაში ყოფნის შესახებ," - განაცხადა ავთანდილ თურქიაშვილმა.

ერთი სიტყვით, ანტიკრიმინალური "შტურმი" პანკისელ კრიმინალებზე კვლავ გრძელდება, ბოლო ინფორმაციით, დააკავეს არაბი მოქალაქე, რომელსაც ფრანგული პასპორტი ჰქონდა..

# ოსი კრიმინალები ქართველ პოლიციელს თავს დაესხნენ

ხათუნა ჯანგირაშვილი

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ბოლო დროს გართულებულ კრიმინოგენურ ვითარებას კიდევ ერთი დანაშაული დაემატა.

გუშინ, დილის ცხრა საათზე სოფელ ხეითთან მომხდარმა ჩვეულებრივმა რიგითმა ყაჩაღობამ, დამნაშავეთა ვერპოვნითა და მათი დაუსჯელობით შეწუხებული მოსახლეობა ქუჩაში გამოიყვანა. ლიახვის ხეობელები ხელისუფლებისგან კატეგორიულად მოითხოვენ თავდამსხმელთა, დამყაჩაღებელთა და მკვლელთა მომრავლებული ჯგუფების პოვნასა და დასჯას.

მაშინ, როცა სოფელ ქურთაში რამდენიმე ასეულკაციანი აქცია იმართებოდა, თავდამსხმელთაგან დაზარალებულ, სასტიკად ნაცემ ელგუჯა ბუგიანიშვილს ექიმები საავადმყოფოში პირველად დახმარებას უწევდნენ.

დილით საკუთარი ავტომანქანით სახლიდან გამოსულ ქურთის პოლიციის განყოფილების უბნის რწმუნებულს ელგუჯა ბუგიანიშვილს, რომელსაც მცირეწლოვანი ქალიშვილი და ორი თანასოფლელი ახლდა თან, სოფელ ხეითის დაუსახლებელ ადგილას, ბუჩქებში ჩასაფრებული, მაყუჩიანი ავტომატებით შეიარაღებული სამი ნიღბიანი ყაჩაღი გადაუდგა. სამსახურში მიმავალმა უბნის რწმუნებულმა მანქანა მაშინვე გააჩერა. თავდამსხმელებმა იგი ავტომატის კონდახებით სცემეს, ტალახში აგორავეს, თანამგზავრებთან ერთად იქვე დატოვეს, მის "ნივაში" ჩასხდნენ და ცხინვალის მიმართულებით გაუჩინარდნენ. დაზარალებულმა პოლიციელმა მომხდარის შესახებ ჩვენება საავადმყოფოში მისცა. მისი განმარტებით, თავდამსხმელები ოსურ-რუსულად საუბრობდნენ. ელგუჯა ბუგიანიშვილი დარწმუნებულია, რომ ის და მისი მგზავრები სიკვდილს ბეწვზე გადაურჩნენ. **"მანქანა რომ არ გამეჩერებინა, ყველას შიგ ჩაგვცხრილავდნენ,"** – განუცხადა მან გამოძიებას. ცხინვალის პროკურორის, გურამ ბაბუცაძის აზრით, თავდამსხმელები ერთ-ერთი ბანდიტური დაჯგუფების წევრები არიან.

**"ავტომატებით შეიარაღებულმა ნიღბიანმა თავდამსხმელებმა, მანქანასთან ერთად, გაიტაცეს ელგუჯა ბუგიანიშვილის სამსახურებრივი მოწმობა, სამსახურებრივი ტაბელური იარაღი, ასევე ავტომანქანის მოწმობა,"** – გვითხრა დაზარალებულის "შეფმა", ვახტანგ გოგიძემ, რომელიც, ცხინვალის პროკურორის მსგავსად, თითქმის დარწმუნებულია, რომ თავდამსხმელები ოსი კრიმინალები არიან.

**"შემთხვევის ადგილზე გასვლით და იქ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებით დამნაშავეებს ვერ დავიჭერთ. თავად დაზარალებული ამბობს, რომ ისინი ცხინვალის მიმართულებით წავიდნენ. ჩვენ კი, გასაგები მიზეზების გამო, საგამოძიებო მოქმედებებს ცხინვალის ტერიტორიაზე ვერ ვატარებთ,"** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას ქურთის პოლიციის განყოფილების უფროსმა ვახტანგ გოგიძემ.

ქართველი სამართალდამცველები ცხინვალელ კოლეგებს დახმარებას სთხოვენ.

# დაპატიმრებული ჩეჩნების ბედს 700-გვერდიანი დოკუმენტი გადაწყვეტს

თამარ კაციტაძე

რუსეთის გენერალურმა პროკურორმა ვლადიმირ უსტინოვმა დაშვებული შეცდომა გამოასწორა და საქართველოში იმ 13 ჩეჩენის ექსტრადიციისთვის საჭირო დოკუმენტები გამოგზავნა, რომელთა ლეფორტოვის იზოლატორში მოხვედრაზე რუსეთის უმაღლესი ხელისუფლება დიდი ხანია, ოცნებობს.

3-4 აგვისტოს "გირევის" საგუშაგოსთან დაკავებული ჩეჩნები დღესაც N 5 იზოლატორში იმყოფებიან და სასჯელის მოხდას კვლავ საქართველოში მოითხოვენ. მათ დაკავებისთანავე აღიარეს ქართული კანონმდებლობის დარღვევა და თავი დამნაშავედაც ცნეს.

გაითვალისწინებენ თუ არა ქართველი სამართალდამცველები ჩეჩნების თხოვნას და მათი ადვოკატების მტკიცებას, რომ რუსმა კანონდამცველებმა ექსტრადიციისთვის საჭირო დოკუმენტები გააყალბეს, მომავალი გვიჩვენებს. დღეს კი გენერალურ პროკურატურაში 700-გვერდიან დოკუმენტაციას სწავლობენ და თან აღნიშნავენ, რომ, თუ დოკუმენტები აკმაყოფილებს მინსკის კონვენციით დადგენილ ნორმებს, მაშინ ჩეჩნების ექსტრადიცია უპრობლემოდ მოხდება.

იმისათვის, რომ ჩეჩნების გადაცემა კანონის სრული დაცვით მოხდეს, აუცილებელია მათი მოქალაქეობის დამადასტურებელი ცნობა, ბრალდების სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილება, ბრძანება თავისუფლების აღკვეთის შეფარდების თაობაზე, ძებნის გამოცხადების დადგენილება და ამონაწერი სისხლის სამართლის კოდექსიდან, რომლის მიხედვითაც ამა თუ იმ პიროვნებას ბრალი ედება. ეს უკანასკნელი საჭიროა იმისათვის, რომ ქართულმა მხარემ განსაზღვროს ორ ქვეყანაში ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე. თუ რომელიმე პატიმარს რუსეთში უფრო მსუბუქ დანაშაულში ედება ბრალი, მაშინ იგი საქართველოში გასამართლდება. ამასთან, ექსტრადიციას გადაურჩება ის ჩეჩენიც, რომელსაც რუსეთში ჩადენილი დანაშაულისთვის სიკვდილით დასჯა ემუქრება.

მოკლედ, საქართველოში ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო. როგორც გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების უფროსმა პაატა მსხილაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, **"ამ პერიოდისათვის შესწავლილია დოკუმენტაციის თითქმის 70 პროცენტი. მართალია, მასალების დიდი ნაწილი აკმაყოფილებს კონვენციის მოთხოვნებს, მაგრამ არის ლაფსუსებიც, რომლებიც გარკვევას საჭიროებს".** საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილებას მუშაობაში ხელს უშლიან დაკავებული ჩეჩნებიც. პაატა მსხილაძის განცხადებით, **"პატიმართა ერთი ნაწილი უარს აცხადებს ახსნა-განმარტებების მიცემაზე, რაც ართულებს მასალების დროულად შესწავლას".**

გუშინ დაპატიმრებულთა ადვოკატებმა შუამდგომლობით მიმართეს გენერალურ პროკურატურას და ექსტრადიციის მასალების გაცნობა მოითხოვეს. დაკმაყოფილდება თუ არა დამცველთა სურვილი, მსხილაძე ჯერჯერობით ვერ აკონკრეტებს. ყველაფერი, ალბათ, პროკურატურის ხელმძღვანელობის კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული, რადგან, კანონით, ადვოკატს საგამოძიებო მასალების გაცნობის უფლება აქვს, რაც ექსტრადიციის მასალებზე არ ვრცელდება.

უკვე შესწავლილი მასალები საქართველოს ტერიტორიაზე დაკავებულ ჩეჩნებს სასიკეთოს ვერაფერს ჰპირდება. როგორც გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების უფროსმა გვითხრა, მათ რუსეთის პროკურატურა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ორგანიზებაში, იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებაში, რუსეთის საზღვრის უკანონო გადაკვეთასა და სამართალდამცველი ან სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლის ხელყოფაში სდებს ბრალს.

# ამერიკის პოლიტიკური ელიტა და რუსეთი

პირველი გვერდიდან

ნეოკონსერვატორული შეხედულებების მრჩევლების რაოდენობიდან და თანამდებობრივი პოზიციებიდან გამომდინარე, აზრი, რომ პრეზიდენტი ბუშიც ნეოკონსერვატორული იდეოლოგიის მიმდევარია, საკამათო არ უნდა იყოს. ამასთან ერთად, პრეზიდენტის იდეოლოგია კარგად ვლინდება, საზოგადოდ, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლით და, კერძოდ, ერაყის წინააღმდეგ დაგეგმილი ომით. კონგრესისადმი პრეზიდენტ ბუშის მიმართვა ქვეყნის მდგომარეობის შესახებ, რომლითაც იგი წელს იანვარში წარდგა და რომელშიც ჩამოაყალიბა ტერორიზმის წინააღმდეგ ომის დოქტრინა, დაფუძნებულია ნეოკონსერვატორულ იდეოლოგიაზე, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური რეჟიმი აუცილებლად უნდა ექვემდებარებოდეს განსჯას - კარგია იგი თუ ცუდი ("ეშმაკეული თუ სამართლიანი"); ხოლო რეჟიმის გონი, მისი სულისკვეთება დიდწილად განსაზღვრავს ლიდერის ქცევას, მის პოლიტიკას საერთაშორისო ურთიერთობის თვალსაზრისით. აღნიშნულ სიტყვაში განხილულ იქნა ლიბერალური დემოკრატიის გავრცელების აუცილებლობაც. იგივე პროცესს მიუძღვნა საპრეზიდენტო ძალისხმევის დიდი ნაწილი ასევე ნეოკონსერვატორმა პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა. ამავე დროს, ძველი, ტრადიციული სტილის ზოგიერთი რესპუბლიკელი ეწინააღმდეგება ერაყთან ომს, მაგ. ბრენთ სქოუქროფტი, პრეზიდენტ ბუშის მამის ნაციონალური უშიშროების ყოფილი მრჩეველი. მიუხედავად ამისა, შეერთებული შტატები, პრეზიდენტის დოქტრინის შესაბამისად, ყოველმხრივ ემზადება ერაყის რეჟიმის შესაცვლელად.

იმის გამოსარკვევად, თუ რას ფიქრობს პრეზიდენტი ბუში ისეთ საკითხებზე, რომლებზეც იგი ან მისი ადმინისტრაციის მაღალჩინოსნები მრავალი მიზეზის გამო პირდაპირი, ღია ტექსტით ვერ ისაუბრებენ, ადმინისტრაციის გარეთ მყოფ ცნობილ და გავლენიან ნეოკონსერვატორებს უნდა მივაკითხოთ.



ბუშისა და პუტინის შეხვედრა ტეხასში, რანჩოზე. REUTERS

ვაშინგტონში რუსეთისა და მონათესავე პრობლემატიკის წამყვან ექსპერტთა შორის რამდენიმე ნეოკოსერვატორია, მათ შორის განსაკუთრებით ცნობილია ორი მეცნიერი - ლორან მურავიექი, კორპორაცია რანდის უფროსი მეცნიერი და ჩარლზ ფერბენქსი, ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის პროფესორი.

რანდი, რომელშიაც მურავიექი მუშაობს, არასამთავრობო საკვლევი ინსტიტუტია, ე.წ. "თინქ-თენკი" (ფიქრის რეზერვუარი). რანდის ექსპერტები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ პენტაგონის პოლიტიკის ფორმირებაში. ფრანგული წარმოშობის მურავიექი განსაკუთრებული პატივით სარგებლობს პენტაგონის გრძელვადიანი, სტრატეგიული დაგეგმარების საკითხებში. სულ რამდენიმე კვირის წინ მურავიექი, რომელიც ცდილობს, პრესისაგან თავი შორს დაიჭიროს, "ნიუ-ორკ ტაიმსის" და "ვაშინგტონ პოსტის" პირველ გვერდებზე აღმოჩნდა, ვინაიდან გახმაურდა მისი მეტად კონფიდენციალური ანალიზი (გაზეთების რწმუნებით, პენტაგონის მრჩეველთა საბჭოსათვის მომზადებული), რომელშიც საუდის არაბეთი ამერიკისათვის "მტრულ" ქვეყნად გამოცხადდა.

ლორან მურავიექი ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორია - მრავალი წიგნისა და ნაშრომის ავტორი, რომლებიც გამოქვეყნებულია ფრანგულად, ინგლისურად და სხვა ენებზე.

უახლოეს დღეებში შემოგთავაზებთ ექსკლუზიურ ინტერვიუს პროფესორ ფერბენკსთან. დღეს კი წარმოგიდგენთ მურავიექის ლექციის თარგმანს, რომლის გამოქვეყნების ნება, საქართველოში რუსეთის თავაშვებული მოქმედებებისაგან შექმნილი ვითარების გამო, მან პირადად დამრთო.

# ხუთი საუკუნე და ერთი ათწლეული - რუსეთის ბედისწერა "დერჟავნოსტია"

ლორან მურავიექი

სულ მცირე, მე-18 საუკუნიდან მოყოლებული, რუსეთის ელიტის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი, უფრო მეტიც, თავდავიწყებით ნალოლიავები მწრამსი სახელმწიფოს მართვის ხელოვნების, გეოპოლიტიკისა და კულტურის არსებითი საკითხების შესახებ, რომელმაც ჩამოაყალიბა, გააჯერა და შეზღუდა რუსული ელიტის აზროვნება, არის ის, რომ რუსი ერი წარმოუდგენელია რუსული სახელმწიფოებრიობის გარეშე. ამ მოსაზრების მიხედვით, რუსეთი ვერ იარსებებს, ვერ გადარჩება, თუ სახელმწიფო ცენტრალურ ადგილს არ დაიკავებს ერის ცხოვრებაში და არ შეაღწევს ცხოვრების ყოველ კუთხე-კუნჭულში, მის უკიდურეს ასპექტებში. რუსეთის სახელმწიფო თუ თვითმპყრობელური არ იქნება, ის დაიშლება გეოგრაფიულად, სოციალურად და სულიერად.

სახელმწიფოს ცნებას ყოველთვის ორ ატრიბუტს მიაწერენ: რუსული სახელმწიფო უნდა იყოს *ძლიერი* და *დიდი*. ძნელად თუ გავიხსენებთ რუს პოლიტოლოგს ან სახელმწიფო მოღვაწეს, რომელიც სუსტი ან ზომიერი სახელმწიფოს პოზიციებს უჭერდეს მხარს. რუსული სახელმწიფოს პრეროგატივები, პრინციპში, ყოველთვის ამოუწურავად მიიჩნევა: ხელისუფლების ***checks and balances*** (ხელისუფლების სხვადასხვა შტოთა ურთიერთკონტროლისა და ურთიერთგაწონასწორების) პრინციპი ეწინააღმდეგება ავტოკრატიის ან რელიგიური *პრავოსლავური* ავტოკრატიის შეგნებას, სადაც *ცარი* არა მარტო უფლის მიერ მირონცხებულად ითვლება, დასავლეთის აბსოლუტური მონარქის მსგავსად, არამედ თაყვანისცემის ობიექტად მიიჩნევა თვით მისი პიროვნება, ისევე, როგორც ბიზანტიაში მიიჩნეოდა პანტოკრატორი.

სახელმწიფო უნდა იკავებდეს ცხოვრების უკლებლივ ყველა კუთხეს. შუასაუკუნეების "*კნიაზი*" თავისი მიწის მფლობელი კი არ იყო, არამედ ეს მიწა დროებითი უზუფრუქტით ეკავა. პეტრეს შემდგომი პერიოდის თავადი არსებობდა მხოლოდ იმ ფუნქციით და იმ პროპორციის შესაბამისად, რომლითაც იგი სახელმწიფოს ემსახურებოდა. ყველაფერს სახელმწიფო ძალაუფლება განკარგავს, რაც წმინდა ბიზანტიურ კონცეფციას წარმოადგენს. ეკლესია, ლიტერატურა, სპორტი, ეკონომიკის სფეროში საქმიანობაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია – ყველა ამ სფეროში სახელმწიფო ცენტრალური ფიგურაა. ამასთან, სახელმწიფო ძალაუფლებას იძულების წესით უნდა ფლობდეს: სუვერენიტეტი და ძალაუფლება განუყოფელია, რაც აშკარად მონღოლური კონცეფციაა - "ერთი იმპერატორი ერთი ზეცის ქვეშ".

ბიზანტიური გავლენის, მონღოლური იდეებისა და წეს-ჩვეულებების რუსეთში შეღწევის ხარისხის გათვალისწინება საკმარისი არაა, რათა რუსეთის ისტორია, სულ მცირე ვლადიმირ დიდიდან მოყოლებული, მთლიანობაში ან ნაწილობრივ იმგვარად შეფასდეს, რომ თითქოს ამით ერთხელ და სამუდამოდ განისაზღვრა მისი შემდგომი განვითარება. რუსეთის სახელმწიფოებრივ არსს არ განსაზღვრავს მხოლოდ ის, თუ რა დაღი დააჩნია მას გეოგრაფიულმა მდებარეობამ ("ევრაზია") ან ისტორიამ ("ბიზანტიური", "მონღოლური" გავლენები). თუმცა, განვლილ გზას, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს.

ივანე III-ის პერიოდში რუსეთის ბალტიურ-ჰანზეატური ნაწილი მთელ ქვეყანას მძლავრად ექაჩება დასავლეთ ევროპისკენ. ივანე IV-ს მიერ ფსკოვის და ნოვგოროდის განადგურებამ, დასავლეთის წინააღმდეგ ომის დაწყებამ (ლივონური ომები), , ორთოდოქსალური ეკლესიის ხარჯზე სახელმწიფოს გამდიდრებაში ჰენრი VIII ტიუდორისთვის არ მიბაძვამ და საზოგადოების მოსათვინიერებლად ოპრიჩნიკურ ტერორზე დაყრდნობამ, მთლიანად გაანადგურა ივანე III-ის დროს ჩამოყალიბებული პოტენციალი. *გოსუდარი*, *გოსუდარევო დელო* და *გოსუდარსტვო* უპოპულარულესი სიტყვები გახდა.

რუსეთი არის დიდი ტერიტორია - თავისუფლად და მეჩხერად დასახლებული - ძალზე დიდი იმისათვის, რომ ცარის ადმინისტრაცია ყველაფერს გასწვდეს. ამის გამო, ვითომდა, "აუცილებელია" ძლიერი ხელი, რკინის მუშტი, როცა მუშაობს დესტრუქციული ცენტრალიზაცია. პეტრე პირველი აგრძელებს ივანეს მიერ დაწყებულ საქმეს, მაგრამ კონსტრუქციული გზით (ამ ტერმინს ამ შემთხვევაში პოზიტიური მნიშვნელობით არ ვიყენებთ, არამედ, უბრალოდ, დასახასიათებლად: ივანე დამანგრეველია, პეტრე კი მაშენებელი, მაგრამ პრობლემა ის არის, თუ რას აშენებს). მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვი შემდეგი სახით გამოიყურება: მტრებისაგან რუსეთისა და *ცარის* დასაცავად საჭიროა ძლიერი ადმინისტრაცია და ძლიერი არმია. ამისათვის საჭირო რესურსები უნდა გამოიწუროს ნაციისგან, სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფოსათვის. ამ მიზნის მისაღწევად კი აუცილებელია, გავრცელდეს ბატონ-ყმობა. *დერჟავა* ბატონყმობისგან განუყოფელია. ეს ორი ცნება დამოუკიდებელ ცვლადებს არ წარმოადგენს.

სახელმწიფოს ტერიტორიული ექსპანსია მოითხოვს და ემყარება იმპერიულ-იმპერიალისტურ იდეოლოგიას. ფილოთეის "მესამე რომიდან" დაწყებული, დესპოტი ეკატერინეს დროში განვითარებული იდეებით დამთავრებული, მკვიდრდება ცნება, რომ რუსეთს აკისრია უნიკალური, განსაკუთრებული მისია – გარდაქმნას მსოფლიო, როგორც *სულიერმა ერმა* (qeoforos). *დერჟავა*, *ბატონყმობა*, *მესამე რომი*, *იმპერია* – ეს ყოველივე ერთი და იგივე კონცეფციის გამომხატველი ასპექტებია.

ასე ფიქრობენ არაკჩეევი და ნიკოლოზ პირველი, აგრეთვე, დეკაბრისტი პესტელი. იგივე აზრს იზიარებენ პობედონოსცევი და დოსტოევსკი, ჩერნიშევსკი და ლენინი.

რუსეთის ისტორიაში იყო არსებითი მომენტები, როდესაც სახელმწიფოზე ამგვარ აკვიატებულ დაყრდნობას სერიოზულად შეეკამათნენ. მე-19 საუკუნის მიწურულს რუსეთში სამოქალაქო საზოგადოების (ზოგიერთი მიმართულების) არაჩვეულებრივი განვითარება, რაც აისახა "*ზემსტვოებით*", პროფესიებით, 1890-იან წლებში შიმშილის დასაძლევი სოციალური მობილიზაციით, მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიის განვითარებით (როგორიცაა აერონავტიკა პირველ მსოფლიო ომამდე და მის პერიოდში), არასახელმწიფო სუბიექტების მიერ ეკონომიკური და სოციალური მენეჯმენტის მნიშვნელოვანი ნაწილის ხელში აღებით – ყველაფერში იგრძნობოდა სხვა გზის არჩევის პოტენცია. ეს იმის დემონსტრირებაა, რომ რუსი ხალხი არ არის სამუდამოდ განწირული, იცხოვროს სალტიკოვის მითიურ ქალაქ გლუპოვში.

"ათასწლეულისადმი მიძღვნილ თავის სიტყვაში," მოქმედმა პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა სახელმწიფო მოათავსა მოვლენათა ცენტრში, რომლიდანაც და რომლისკენაც უნდა ტრიალებდეს ყველა აზრი. სახელმწიფოს აღმშენებლობა მისი მარადმწვანე მიზანია, მისი მანტრაა.

სახელმწიფო ძალაუფლების ინსტრუმენტების აღმშენებლობა - ადმინისტრაცია, პოლიცია, საიდუმლო სამსახური, შეიარაღებული ძალები – მთავარ პრიორიტეტებადაა გამოცხადებული. აშკარაა, რომ პუტინის სახელმწიფომ თავისი ამბიციები შეამცირა: მისი პერიმეტრები აღარ მოიცავს – როგორც ეს საბჭოთა სახელმწიფოს დროს იყო – ყველაფერს, ეკონომიკას, რელიგიას, კულტურას და ა.შ. კბილების ღრჭიალით, მაგრამ გარკვეული ხარისხით დაშვებულია კერძო საკუთრება. ვინაიდან იმისათვის, რომ სახელმწიფომ შეძლოს "ორიენტირება" და წესების დადგენა, მას დასჭირდება რესურსები. აქ გარკვეული წინააღმდეგობაა, რომელიც საბჭოთა ექსპერიმენტის გაკვეთილიდან გამომდინარეობს, - რომ დირექტიული გეგმიური ეკონომიკა აშკარად ვერ მუშაობს; რომ უცხოური კაპიტალი აუცილებელია; რომ ტერორისა და ტოტალური კონტროლის პირობებში შეუძლებელია ძლიერი ეკონომიკის შექმნა.

ამ წინააღმდეგობის დაძლევა იოლი არ იქნება. სახელმწიფოსთან დაკავშირებულ გაუგებრობას და დაბნეულობას ნათელი უნდა მოეფინოს: *დერჟავნოსტის* სახელმწიფო ავტოკრატიული, იმპერიალისტური სახელმწიფოა. მისგან განსხვავებით, სახელმწიფო, დასავლური გაგებით, არსებობს იმისათვის, რათა საზოგადოებას ემსახუროს (შიდა და გარე თავდაცვის აუცილებელი ფუნქციების გარდა, რომლებიც არ განსაზღვრავენ მის სტრუქტურას და პოლიტიკას).

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს – „ხალხის პირისპირ“. ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

ინსტრუქციები კითხვის შემდგენელთათვის:
კითხვები ზოგადსაგანმანათლებლო ხასიათის უნდა იყოს, სირთულის დონით კითხვა უნდა უტოლდებოდეს „ვის უნდა 20 000“-ის 200 და 400 ლარიან შეკითხვებს, (თუმცა კონკურსანტს არ ეძლევა ოთხი სავარაუდო პასუხი) მაგალითად, რომელ მუსიკალურ ჯგუფში მღეროდა ფრედი მერკური 1971-1991 წლებში? - „ქუინში“ ან რომელ მთათა სისტემას ეკუთვნის დედამიწის უმაღლესი მთის მასივი ჯომოლუნგმა? - ჰიმალაის. შეგიძლიათ შეადგინოთ და გამოგვიგზავნოთ კითხვები ნებისმიერი რაოდენობით. ერთ ბლანკში ჩაწერეთ მხოლოდ ერთი შეკითხვა.

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

გთხოვთ, მიუთითოთ კითხვის სისწორის დამადასტურებელი წყარო:

სახელი და გვარი:
ბინის მისამართი:
საფოსტო ინდექსი:
სამსახურის ტელეფონის ნომერი:
ბინის ტელეფონის ნომერი:
მობილური ტელეფონის ნომერი:

შევსებული ბლანკი გამოგზავნეთ ფოსტით მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ", ვაჟა-ფშაველას 45, 380077 თბილისი, ან მოიტანეთ ამავე მისამართზე, მე-17 სართულზე. შეკითხვები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ფაქსით ნომერზე: 20-00-12.

წესები კითხვის შემდგენელთათვის:
კითხვები გადაცემისთვის "ხალხის პირისპირ" მიიღება მხოლოდ სპეციალური ბლანკით, რომელიც მოთავსებულია გაზეთ "24 საათში", ბლანკის წასაღებად ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ "რუსთავი 2"-ის ოფისში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე, მე-17 სართულზე. სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" უფლებას იტოვებს, გადაცემის ინტერესებიდან გამომდინარე, ცვლილებები შეიტანოს, ან არ გამოიყენოს თქვენი შეკითხვა. "რუსთავი 2" არ არის ვალდებული გაცნობოთ - გამოიყენებს თუ არა თქვენს მიერ მოწოდებულ შეკითხვას. ბლანკის შევსების უფლება აქვს ყველა სრულწლოვანს.

თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

## საზოგადოება

# კანცელარიასა და თსუ-ში ერთი და იგივე საკითხი განიხილეს

ეთერ მამულაშვილი

ერთთვიანი ლოდინის შემდეგ გუშინ უნივერსიტეტის რექტორი როინ მეტრეველი შეხვდა იმ აბიტურიენტებს, რომლებსაც წლეულს, მისაღებ გამოცდებზე, საბიუჯეტო განყოფილებაზე ჩასარიცხად რამდენიმე ქულა დააკლდათ. მათ ჩამოაყალიბეს აბიტურიენტთა და მშობელთა კომიტეტი და რექტორს მოსთხოვეს, გაეუქმებინა წლევანდელი მისაღები გამოცდების შედეგები და ყველა აბიტურიენტი უგამოცდოდ ჩაერიცხა. “შეუძლებელს არაფერს მოვითხოვთ, იანვრამდე უფასოზე ჩაგვრიცხონ ყველა ფასიანზე მოხვედრილი. პირველი სემესტრის გამოცდების შედეგების მიხედვით კი საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სექტორზე გადაგვანაწილონ. იანვარში, თუ არ ვართ უნივერსიტეტში სწავლის ღირსი, ჩვენ თვითონ დავტოვებთ ამ ვითომცდა “ცოდნის ტაძარს”, - უთხრა “24 საათს” 18 წლის მარინა სტოროჟეჩკომ.

რექტორთან აბიტურიენტთა შეხვედრა სამ საათს გაგრძელდა, თუმცა, უშედეგოდ. მეტრეველი დათმობას არ აპირებს. შექმნილ ვითარებაში, ერთადერთი, რისი გაკეთებაც როინ მეტრეველს შეუძლია, ეს სწავლის საფასურის განახევრებაა, ისიც - შეზღუდულად. არასაბიუჯეტო განყოფილებაზე სწავლის განახევრებული საფასური დაუწესდებათ მხოლოდ იმ სტუდენტებს, ვისაც წლეულს იურიდიულ ფაკულტეტზე ერთი ქულა დააკლდა. ასეთი კი სულ 26-ია.

მშობელთა და აბიტურიენტთა კომიტეტისთვის ასეთი შეღავათი არასაკმარისია და ისინი პოზიციის შეცვლას არ აპირებენ. “ეს დაპირება მორიგი სატყუარაა, რომლითაც მეტრეველი ჩვენს გაჩუმებას ცდილობს. ეს დაპირება რექტორმა რომ შეასრულოს კიდეც, შეღავათი მხოლოდ იურისტებს ეხებათ და ისიც მხოლოდ ერთი წლით. ჩვენ არ გავჩერდებით და ბრძოლას სასამართლოში განვაგრძობთ. სამი სარჩელი უკვე მიიღო სასამართლომ. ორ მაგდენსაც ამ დღეებში მიიღებს”, - გვითხრა მათემატიკის ფაკულტეტზე ორქულადაკლებულმა აბიტურიენტმა.

იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლო არ დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნას, მშობლები და აბიტურიენტები სასწავლო წლის ჩაშლით იმუქრებიან.

გუშინვე, ვიდრე ახლად შექმნილი კომიტეტი თსუ-ს რექტორთან მოლაპარაკებას აწარმოებდა, განათლების მინისტრი ალექსანდრე კარტოზია, სახელმწიფო მინისტრი, თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენლები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები კანცელარიაში ერთმანეთს შეხვდნენ. საუბარი უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების წესების ხარვეზებსაც შეეხო. ჟორჟოლიანმა განათლების მინისტრს შესაბამისი პროექტის მომზადება დაავალა. მინისტრი ეჭვობს, რომ მომავალი წლის საგამოცდო სეზონისთვის მოხერხდება ახალი ტიპის საგამოცდო სისტემის ამოქმედება, თუმცა, მინისტრის მოადგილე რუსუდან გორგილაძე იმედოვნებს, რომ პროექტი მომავალი წლისთვის მოესწრება და შეიქმნება უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრის უნიფიცირებული მოდელი, რომელიც სისტემაში, როგორც სასკოლო, ისე უმაღლესი განათლების სფეროში კორუფციისთვის ადგილს არ დატოვებს.

მართალია, მშობელთა და აბიტურიენტთა კომიტეტის რექტორთან შეხვედრა მასმედიისთვის დახურული იყო, მაგრამ რამდენიმე ჟურნალისტს ბედმა გაუღიმა და მეტრეველთან შეხვედრა მოახერხა. იღბლიანთა შორის “24 საათი” ვერ აღმოჩნდა: “24 საათს” ბატონი მეტრეველი ვერ მიიღებს. სამაგიეროდ, თქვენს ნებისმიერ კითხვას პრორექტორი პარმენ მარგველაშვილი უპასუხებს”, – გვითხრა რექტორის თანაშემწემ გულიკო ებანოიძემ და კარი მიხურა.

# თსუ-ს ხავერდოვანი რევოლუცია სჭირდება

გიორგი გახელაძე

სტუდენტებში აზრთა სხვადასხვაობაა. ერთნი მხარს უჭერენ გასტუდენტების მოსურნე ამბოხებულ აბიტურიენტებს. მათთან ერთად მოითხოვენ, ყველა აბიტურიენტის ჩარიცხვას, მისაღები გამოცდების სისტემის შეცვლას და ამით კორუფციასთან ბრძოლის გამოცხადებას.

სტუდენტთა მეორე ნაწილი განსხვავებული აზრისაა: “თუ უნივერსიტეტში ყველას ჩარიცხავენ, ვინც საბუთები შემოიტანა, კორუფციის მასშტაბები კიდევ უფრო გაიზრდება”, - ფიქრობენ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტური საბჭოს წევრები შოთა ჯოგლიძე და რატი ბრეგაძე. ისინი დარწმუნებული არიან, რომ უმაღლეს სასწავლებლებში რადიკალური რეფორმის გატარებას წინ უნდა უსწრებდეს მნიშვნელოვანი ცვლილებები სასკოლო განათლების სისტემაში.

მანამდე კი, მართებულად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორის მომავალი არჩევნებისათვის მზადება მიაჩნიათ. მათი მოსაზრებით, თსუ-ში ხავერდოვანი რევოლუცია უნდა მოხდეს და მათ ამ პროცესის მხარდამჭერად რადიკალებზე ბევრად მეტი სტუდენტი ეგულებათ.

“ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტები იქნებიან უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციის სერიოზულად განხილვისა და საკითხის გადაწყვეტის ინიციატორები,რადგან უნივერსიტეტების პრობლემების ქვაკუთხედი სწორედ აქ არის”, – განაცხადეს მათ და იმედოვნებენ, რომ საკუთარი საერთაშორისო ურთიერთობებით მოახერხებენ სტუდენტების სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობის აქტივაციას. რატი ბრეგაძე დარწმუნებულია, უმაღლესი იურიდიული განათლების ახალი კონცეფციის შემუშავების პროცესში სტუდენტთა აქტიური ჩაბმა უფრო ეფექტური იქნება, ვიდრე “ერთჯერადი ხმაურიანი სარჩელები”. შოთა ჯოგლიძე გაუმართლებლად და საეჭვოდ მიიჩნევს მომავალი იურისტების აზრის უგულებელყოფას მათივე პროფესიული ცხოვრების ახალი წესების შემოღებისას: “სწორედ, ჩვენ მოგვიწევს ახალ საატესტაციო და სასერთიფიკაციო სისტემაში საქმიანობა. მის ობიექტურობასა და მაღალპროფესიულობაზე იქნება დამოკიდებული საქართველოში სამართლიანობისა თუ კანონიერების ხარისხი. რატომ უნდა ვენდოთ იმ ადამიანებს, რომლებიც უკეთეს შემთხვევაში, კორუფციული სისტემის წნეხს მიეჩვივნენ?”

# მასწავლებლები ხელფასებს ითხოვენ და გაფიცვით იმუქრებიან

მაკა ჭაიანი

1998 წლიდან მოყოლებული, ადგილობრივ თუ ცენტრალურ ბიუჯეტებს პედაგოგების 35-მილიონიანი დავალიანება დაუგროვდა; ყოველ წელს სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისას, მთავრობა ერთსა და იმავე დაპირებას იძლევა, რომ მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც დაფარავს ვალს. ეს პირობა, პირობად რჩება, რადგან ვალს ახალი ვალი ემატება.

მასწავლებელთა პროფკავშირებში აცხადებენ, რომ ყველაზე მეტად აღელვებული იმ რაიონების პედაგოგები არიან, რომელთა მიმართ სახელმწიფოს 10 თვეზე მეტის სახელფასო დავალიანება დაუგროვდა. ასეთების სია კი დიდია.

ოფიციალური შეტყობინებით პედაგოგთა მოსალოდნელი გაფიცვის თაობაზე, მასწავლებელთა პროფკავშირებისთვის ჯერ არავის მიუმართავს, თუმცა, პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილის, ჰამლეტ თუთბერიძის სიტყვებით, მდგომარეობა დაძაბულია: “წელს ბიუჯეტს 10 მილიონი უნდა გამოეყო პედაგოგების სახელფასო დავალიანების დასაფარად. ჯერჯერობით კი, მხოლოდ 3 მილიონ 600 ათასი გადაირიცხა. აგვისტოში კიდევ 3 მილიონ 600 ათასი უნდა გადარიცხულიყო, მაგრამ ფინანსთა სამინისტრო ვერ გვეუბნება, როდის მოხდება ეს. მასწავლებლების ვალი წელს ადგილობრივმა ბიუჯეტებმაც დაიდეს. ეს ის რაიონებია, რომლებიც ვერასდროს ასრულებენ გეგმას, მაგრამ მასწავლებელთა დაკმაყოფილებას მათ ჯიუტად ავალებენ.”

ამ სიჯიუტეს ფინანსთა სამინისტროში თავისებურად ხსნიან. “ცენტრალური ბიუჯეტი ყველაფერს ვერ გაწვდება. ადგილობრივ ბიუჯეტებს აქვს რეზერვები, საგადასახადო ბაზა. იქ რომ უკეთ ახდენდნენ შემოსავლების მობილიზებას, ეს პრობლემა არ შეექმნებოდათ,” - აცხადებს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, ვასილ გიგოლაშვილი, - “რაც შეეხება აგვისტოში გადასარიცხ თანხას, 3 მილიონ 800 ათასზე საგადასახადო დავალიანება უკვე გამოიწერა და ხაზინასაც გადაეცა. გაშვებულია მეორე რიგის ტრანსფერიც. ფული ადგილებზე ამ დღეებში მივა.” ფინანსთა სამინისტროში ირწმუნებიან, რომ სექტემბრამდე პედაგოგებს ერთი თვის, გაჭირვებულ რაიონებში კი თვენახევრის სახელფასო დავალიანებას გაუსტუმრებენ.

რამდენად მოხერხდება ეს, ძნელი სათქმელია. მით უმეტეს, რომ, იმავე სამინისტროს ინფორმაციით, მასწავლებლების ხელფასებისთვის ქვეყანას თვეში 7 მილიონ 600 ათასი ლარი ესაჭიროება. იმასაც ვერავინ იტყვის, იკმარებს თუ არა ეს თანხა მოსალოდნელი გამოსვლების თავიდან ასაცილებლად; ვერც იმას, კიდევ რამდენ ხანს დარჩება პედაგოგების სახელფასო დავალიანება ხელისუფლების აქილევსის ქუსლად. ფინანსთა სამინისტრო, შემოსავლების სტაბილურად ამოღების შემთხვევაში, დავალიანების სრულ დაფარვას მხოლოდ 2004 წლისთვის ვარაუდობს.

www.24hours.ge 24 B

# ადვოკატი დე ნირო, სიმამრი ჰოფმანი, აგენტი 007, „ცუდი ბიჭი„ ემინემი და ჰარი პოტერი

## რას გვპირდება ჰოლივუდი საშემოდგომოდ

თამარ ბაბუაძე

1 სექტემბრის დადგომას მოსწავლეებზე მეტად ჰოლივუდი ელის. ამ დღეს ამერიკულ კინემატოგრაფს მეორე სუნთქვა ეხსნება და "ახალ წელს" ხვდება. საშემოდგომო სეზონი კინოაუდიტორიას მართლაც ბევრ ახალ ნამუშევარს ჰპირდება. სექტემბრიდან დიდ ეკრანებს ჯეიმს ბონდი, ვინ იცის, უკვე მერამდენედ უბრუნდება, არც კაციჭამია ჰანიბალს ვავიწყდებით, ჰარი პოტერი კვლავაც ჯადოქრობს. სწორედ ეს პერსონაჟები – სერიული მკვლელი, ჯადოქარი თინეიჯერი და საიდუმლო აგენტი განსაზღვრავენ ჰოლივუდის ახალ სეზონს, რომელიც ორშაბათიდან იწყება.

თუმცა, ჰოლივუდი ჩვეულებას არც წელს ღალატობს. შემოდგომის სეზონზე გამოსული ფილმები, ძირითადად, დიდებზეა გათვლილი. შესაბამისად, კინობაზარზე დომინირებს დრამები და დიდბიუჯეტიანი, ეპიკური ჟანრის ფილმები. დიდ ეკრანებზე კვლავაც ნაცნობი და საყვარელი სახეები გამოჩნდებიან, რომელთაც წინ დასტინ ჰოფმანი მიუძღვის თავისი ახალი ნამუშევრით Moonlight Miles. მას პარტნიორობას შემოდგომის "ახალი სახე", ჯეიკ გილენჰალი გაუწევს. ფილმი მოგვითხრობს ახალგაზრდა კაცის ისტორიას, რომელსაც საცოლე უკვდება, რაც სასიძოსა და გარდაცვლილი ქალიშვილის მშობლებს შორის უცნაური ურთიერთობის დასაწყისი ხდება. თუმცა, ამდენი დრამის ფონზე, მაყურებელს არც სიცილი აწყენს, სწორედ გამხიარულების მსურველებზეა გათვლილი რამდენიმე ახალი კომედია – მცირებიუჯეტიანი Barbershop და უფრო სერიოზული, I Spy – ოუენ უილსონისა და ედი მერფის მონაწილეობით.

ქერათმიან რის უითერსპუნის თაყვანისმცემლებსაც სიურპრიზი ელით – მსახიობი მათ წინაშე ახალ ფილმში Sweet Home Alabama წარსდგება. უითერსპუნის გმირი არჩევანის წინაშე დგას – მაღალი კლასის ნიუ იორკელი შეყვარებული, თუ დაბალი ფენის წარმომადგენელი, სოფლელი ბიჭი.

ჯეკი ჩანი განუმეორებელი ტრიუკებით მსოფლიოს მოხიბვლას სექტემბერში კიდევ ერთხელ შეეცდება. ფილმში Tuxedo მისი პარტნიორი ჯენიფერ ლავ ჰიუიტი იქნება.

დიდ ეკრანებთან მყუდრო ოჯახური საღამოების მოსაწყობად შემოდგომის სეზონზე რამდენიმე ახალი ფილმი გამოვა. მათ შორის იქნება იაპონელი რეჟისორის ჰაიაო მიიაზაკის ფილმი Spirited Away, რომელიც საიდუმლო გვირაბში დაკარგული 10 წლის გოგონას თავგადასავალს გვიამბობს. აღსანიშნავია, რომ ფილმმა იაპონიაში ყველა რეკორდი მოხსნა – მისი შემოსავალი (220 მილიონი დოლარი) იაპონურ კინემატოგრაფში ყველა დროის უდიდეს მოგებად შერაცხეს.

ახალ ფილმებში გამოირჩევა City by the Sea, რობერტ დე ნიროს მონაწილეობით და სანდენსის ფესტივალის ფავორიტი ნამუშევარი – Secretary. მასში მთავარ როლს ჯეიმს სპაიდერი და მეგი გილენჰალი (ჯეიკის და) ასრულებენ.

დიდ ეკრანებს მსოფლიოს მასშტაბით კვლავაც დაეპატრონება ენტონი ჰოპკინსის სახელგანთქმული გმირი, პროფესორი ჰანიბალ ლექტერი. კაცის ხორცის მჭამელი ლექტერი (ფილმებიდან: "კრავთა დუმილი", "ჰანიბალი") ახალ, თავზარდამცემ ოინებს ამერიკაში 4 ოქტომბრიდან ჩაიდენს ფილმში "წითელი დრაკონი". "ოსკარის" მფლობელი ჰოპკინსი ამჯერადაც შეურაცხადი კაციჭამიას როლს ასრულებს, თუმცა, ახლა მისი ისტორიები მთლიანად დაფუძნებულია ტომას ჰარისის რომანზე. ფილმში FBI აგენტი, უილ გრემი (ედვარდ ნორტონი) ჰანიბალს სხვა ქილერის შესაპყრობად იყენებს.

ოქტომბრის დრამებში შედის სალმა ჰაიეკის "ფრიდა", რომელმაც ვენეციის ფესტივალი გახსნა და "თეთრი ოლეანდრა" მიშელ პფაიფერის მონაწილეობით. ისტორია ასახავს პატარა გოგონას თავგადასავალს, რომლის დედასაც აპატიმრებენ და გოგონა იძულებულია, რამდენიმე დედინაცვლის ფონზე, საკუთარი თავის პოვნის რთული გზა გაიაროს.

საოჯახო ფილმების კატეგორიას მიეკუთვნება "სანტა კლაუსი-2", ტიმ ალენის მონაწილეობით და, რაღა თქმა უნდა, ჰარი პოტერის მორიგი თავგადასავალი. ახალ ფილმში ჰარი და მისი მეგობრები, რონი და ჰერმიონა ჰოგვარტსის ჯადოსნობის აკადემიას უბრუნდებიან, მორიგი თავგადასავლები სწორედ იქ ხდება.

ჯერჯერობით უცნობია, ამდენი ახალი ნამუშევრის ფონზე რომელი ფილმებით დაკომპლექტდება ბლოკბასტერთა სია. თუმცა, კრიტიკოსები ვარაუდობენ, რომ რეპერი ემინემი, თავისი სკანდალური იმიჯის გამო, ყველაზე მეტ ყურადღებას მიიქცევს. ემინემი ხომ ფილმში "რვა მილი" მთავარ როლს ასრულებს. ფილმი რეპმუსიკოსის ცხოვრებას ასახავს – ღარიბული ცხოვრებიდან ჰოლივუდურ დიდებამდე. ფილმის რეჟისორია L.A. Confidential-ის რეჟისორი კერტის ჰანსონი. კრიტიკოსთა ნაწილის აზრით, "რვა მილი" უპირატესობას ჰარი პოტერს ნამდვილად წაართმევს, რომელიც თავისი გლობალური შემოსავლით (966 მილიონი დოლარი) მეორე ადგილზეა. ლიდერის სტატუსს კი კვლავაც "ტიტანიკი" ფლობს. მსოფლიოს მასშტაბით მისი შემოსავალი კინემატოგრაფის ისტორიაში ყველაზე სოლიდურია.

ახალ სეზონზე ბლოკბასტერობის სერიოზულ შანსებს ფლობს ჯეიმს ბონდის ახალი თავგადასავალიც Die Another Day (ფილმი დიდ ეკრანებზე 22 ნოემბერს გამოდის). როგორც წინასწარვე აცხადებენ, ბონდიანას სერიებიდან ეს ყველაზე გრანდიოზული პროექტია. პირს ბროსნანი, მაყურებლის დაინტერესების მიზნით, ფილმის მოკლე შინაარსს ასე გვიამბობს: "ბონდს ყველა ღალატობს – მტერიც და მოყვარეც. სიტუაცია იხლართება. მან ისიც აღარ იცის, თავად ვის მხარეს იბრძვის". ერთი სიტყვით, სახეზეა გრანდიოზული ინტრიგა, დრამა და, რა თქმა უნდა, ბონდის გმირობის დამადასტურებელი საბრძოლო სცენები.



ჯეიმს ფრანკო და რობერტ დე ნირო ფილმში City by the Sea

REUTERS

# მხოლოდ მამაკაცები

## "გლოუბში" კიდევ ერთი "მეთორმეტე ღამე" დაიდგა

თეა ბარათაშვილი

შექსპირი ბრიტანულ სცენაზე, ალბათ, მანამ იარსებებს, სანამ ბრიტანეთი იარსებებს. მისი ტრაგედიების და კომედიების ახლებური ინტერპრეტაციით ლონდონური პუბლიკა არასდროს იღლება. თუმცა, სწორი შენიშვნაა – მხოლოდ ახლებური ინტერპრეტაციებით. ძველ, ელიზაბეტის დროინდელ სამყაროსთან კონსენსუსი 21-ე საუკუნეში თამაშის ახლებური წესების დამკვიდრებით ხდება. თეატრების კონცეფცია დაახლოებით ასეთია – თუ გსურს, რომ ჩვენს ეპოქაში შექსპირი წარმატებულად "გაყიდო", ის ახალი საუკუნის ნოვაციებით უნდა გაახალისო. მაგალითად, "ტროილუსი და კრესიდა" ვიეტნამის ომის დროს დადგა, პრინცი ჰალი კი პანკ როკერად აქციო...

ასეთი ექსპერიმენტები საკუთარ ზურგზე "მეთორმეტე ღამესაც" ბევრჯერ გადაუტანია. სულ ბოლოს ეს ამ ზაფხულს, ნიუ იორკის შექსპირის ფესტივალზე მოხდა, როცა პიესაში მრავალმა ვარსკვლავმა მიიღო მონაწილეობა.

ერთი სიტყვით, შექსპირის გათანამედროვების პროცესში საინტერესო, მაგრამ თან სახიფათო ტრადიციაც დამკვიდრდა; ტრადიცია, რომელიც ყველაფერ შექსპირისეულს გაქრობით ემუქრება. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ ნოვაციების ტენდენციას უპირისპირდება გლოუბის რეჟისორი ტიმ კეროლი. მან გადაწყვიტა, შექსპირის გარშემო არსებულ სტერეოტიპებს, ტრადიციებს და სტანდარტებს ერთგულად მიჰყვეს. ამ მიზნით, მან არა მხოლოდ ზედმიწევნით შექსპირისეული კოსტუმები, მუსიკა და სცენები შექმნა, არამედ 21-ე საუკუნეში გადმოიტანა ელიზაბეტის დროინდელი ყველაზე მნიშვნელოვანი წესი – მსახიობთა მხოლოდ მამაკაცებით დაკომპლექტებული დასი. დიახ, გლოუბის სცენაზე დადგმულ "მეთორმეტე ღამეში" ქალ მსახიობს მეასეხარისხოვან როლშიც ვერ შენიშნავთ. სცენაზე ყველა მამაკაცია.

თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ სპექტაკლში მხოლოდ მამაკაცების დაკავებაც ერთ-ერთი ხერხი იყოს შექსპირის წარმატებულად "გაყიდვისთვის" – საზოგადოებაზე, რომელიც გიჟდება ყოველივე ორიგინალურზე ნამდვილად ეფექტური რეკლამის ძალა ექნება ელიზაბეტის დროინდელი წესის აღდგენასა და ქალის როლებზე მამაკაცების დამტკიცებას. მით უფრო, რომ გლოუბის მსახიობები ამოცანას თავს შესანიშნავად ართმევენ. მამაკაცები, გარდასახვის მიზნით, ხმას, ბუნებრივია, უმაღლებენ. თუმცა, თავს იკავებენ ზედმეტი პრანჭვა-კეკლუცობისგან. როლზე მორგებას და სქესის შეცვლას ისინი ისედაც ახერხებენ. კრიტიკოსების აზრით, თითოეულ მათგანს როლის ფსიქოლოგია ბოლომდე გათავისებული აქვს. გამორჩეულად აქებენ ოლივიას როლის შემსრულებელ რაილენსს, რომელსაც წინათ ჰამლეტის როლიც წარმატებულად უთამაშია. და, რაც მთავარია, ლონდონელებს გლოუბის სცენაზე გამართული ეს "მამაკაცური ექსპერიმენტი" ნამდვილად მოსწონთ.



"გლოუბი"

REUTERS

# ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი გალერეა TMS-ში

ნანა ბასილაშვილი

მეორე მსოფლიო ომის დროინდელი მოტოციკლეტები, ტურისტები, - რომლებსაც აინტერესებთ გაზი და ნავთობი, პოლიტიკა და კულტურა, ვნება და სიგიჟე – შედეგი - "ნავთობის ოდისეა 2002". ბაქო–თბილისი–ჯეიჰანს შორის მოტოტურისტების მოგზაურობის შესახებ დოკუმენტურ მასალას შეგიძლიათ გალერეა TMS-ში გაეცნოთ.

გუშინწინ საღამოს 7 საათისათვის TMS-ის წინ ბევრი მოტოციკლეტი და ერთი დიდი უცხოური ტიპის ავტობუსი იდგა. გალერეაში კი მათი მძღოლები - უცხოელი ტურისტები - აქამდე განვლილ გზას იოლა მონახოვის მიერ აღბეჭდილ ფოტოებზე ათვალიერებდნენ.

2000 წელს ბაქო-ჯეიჰანის ხაზზე ნავთობსადენში პირველებმა სწორედ მათ გაუშვეს ნავთობი. ამ "სიმბოლურ ნაკადს" გვერდით მოტოციკლეტების მთელი ჯგუფი გაჰყვა. 2001 წელს, კვლავ მათივე თაოსნობით, 1000 კუბური მეტრი ბუნებრივი აირი - ამჯერად ბაქო-თბილისი-ერზუნის ხაზზე - გაატარეს და საბოლოოდ ჯეიჰანამდე ჩაიდნენ. მოტო-ტურისტებს თან ერთი საინტერესო ამალა დაჰყვებოდათ – ჯადოსნური ავტობუსი. ამ ავტობუსით მათთან ერთად აზერბაიჯანული თეატრის მოცეკვავეები და მომღერლები მოგზაურობდნენ. ისინი საკმაოდ მნიშვნელოვან მისიას ასრულებდნენ. საქმე იმაშია, რომ ტურისტებმა მიზნად დაისახეს, მოინახულონ ნავთობსადენის გზის გასწვრივ არსებული ლტოლვილთა ბანაკები, მიტოვებული სოფლები, ასევე იმ ადგილების მაცხოვრებლები, სადაც აღარ არსებობს მისასვლელი გზები და ამის გამო იქაურები ყველასაგან მივიწყებულნი არიან. ეს უცნაური მოგზაურები ამ ადამიანებისათვის კონცერტებს ატარებდნენ, საჩუქრებს ურიგებდნენ, მათ უმთავრესი მიზანი კულტურული ინფორმაციების გაცვლა და დამეგობრება იყო. ტურისტებს საქველმოქმედო საქმიანობისათვის სამოგზაურო ბიუჯეტიდან 10-15 პროცენტი ჰქონდათ განსაზღვრული.

TMS-ში გამოფენილი "ნავთობის ოდისეა 2002" მოტო-ტურისტებისთვის გახსენება, ჩვენთვის კი გაცნობა იყო.

ტურისტები საქართველოდან ჯეიჰანისაკენ გაემგზავრებიან. სამომავლოდ კი ახალი თურქულ-ბერძნული გაზსადენის გაყვანაში აპირებენ მონაწილეობის მიღებას.

# არქეოლოგები „მზის ქალაქის„ გათხრას აპირებენ

ჩრდილო-აღმოსავლეთ კაიროს მტვრიან გარეუბანში წითელი გრანიტის ობელისკია აღმართული, რომელიც მთელ დასახლებას ზემოდან დაჰყურებს. ეს ერთადერთი და უკანასკნელი ხილული კვალია უძველესი ეგვიპტური ქალაქისა, რომელიც დაახლოებით 7 ათასწლეულს ითვლის.

არქეოლოგები ამბობენ, რომ ახალი გათხრები, რომლებიც სულ მალე დაიწყება, ძველი ცივილიზაციის აქამდე უცნობ ნაშთებს აღმოაჩენს და ნათელს მოჰფენს მზის კულტის ქალაქის საიდუმლოებას. მზის ქალაქი - სახელად ონი დღევანდელი აინ შამსის (არაბულად: "მზის თვალი") შემოგარენში მიწის ქვეშაა ჩამარხული.

"ეს სულ რაღაც რამდენიმე თვის საქმეა, გათხრების წარმოება მოხდება იმ ადგილას, სადაც ქალაქის ტაძრები იყო აგებული," - აცხადებენ მეცნიერები. არქეოლოგებს იმედი აქვთ, რომ 2,44 მილიონი კვადრატული ფუტის სიგრძის ტერიტორიაზე ტაძრების ნანგრევებთან ერთად ფილოსოფიური, ასტრონომიული და მათემატიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკებსაც აღმოაჩენენ, იმ საცავებს, სადაც, როგორც გადმოცემით ვიცით, ხშირად სტუმრობდნენ ბერძენი ფილოსოფოსები: არისტოტელე, პლატონი და პითაგორა.

"უძველესი ეგვიპტური წარმოდგენების თანახმად, კაიროს მტვრიანი გარეუბანი იმ ტერიტორიაზეა გაშენებული, სადაც დიდ ცივილიზაციასა და კულტურას დაედო დასაბამი. გათხრების შედეგები ბევრ რამეს გვეტყვის "მზის ქალაქის", იგივე ჰელიოპოლისის (ასე უწოდებდნენ მას ბერძნები) როლზე მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში. ჩვენ გავიგებთ, როგორ ცხოვრობდა აქ ხალხი სხვადასხვა სამეფო დინასტიების დროს," – დიდ იმედებს ამყარებენ სამომავლო არქეოლოგიურ სამუშაოებზე კაიროს უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის წარმომადგენლები.

აინ შამსის საძირკველში ჩამარხული ნანგრევები რამდენიმე დინასტიის ყოფისა და "მზის ქალაქის" ისტორიის სრულ სურათს შეგვიქმნის. ამასთან, ეს გათხრები ბევრად უფრო მეტ ინფორმაციას მიაწოდებს ეგვიპტურ, და მსოფლიო, მეცნიერებას, ვიდრე ცალკეულ ისტორიულ პირებთა სარკოფაგების კვლევის შედეგად მოპოვებული მასალა.

ოლიმპიადა

# ოლიმპიური კარი აჭრიალდა

## როგს რაგბი ესიმპათიურება

გიგა გურასასშვილი

ოლიმპიური თამაშები საკუთარ რიგებში სპორტის არაერთ სახეობას აერთიანებს, თუმცა, მასში მოხვედრის მსურველთა რიცხვი გაცილებით მეტია. თუ რომელ სახეობას გაუღებს კარს პეკინის 2008 წლის ოლიმპიური თამაშები, ამის შესახებ მრავალი მოსაზრება არსებობს. ამ ორიოდე დღის წინათ ოლიმპიზმის მამებმა, ბევრი იმსჯელეს თუ ცოტა, ლოზანაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ი) შტაბბინაში, რამდენიმე რეკომენდაცია შეიმუშავეს. წინადადებები განსახილველად სოკ-ის აღმასრულებელ საბჭოს გადაუგზავნეს. კომისიის მიზანი ოლიმპიური პროგრამის მოდერნიზებაა. მოდერნიზებულ ოლიმპიურ თამაშებში კი, სავსებით შესაძლებელია, გოლფი და რაგბი ვიხილოთ. გოლფის დებიუტი ოლიმპიურ თამაშებზე 1900 წელს შედგა და მომდევნო ოლიმპიადამაც უმასპინძლა. მას შემდეგ ოლიმპიადების პროგრამაში მისი შეტანა არაერთხელ სურდათ. სულ ბოლოს კი, გოლფით ატლანტის ოლიმპიადა დაინტერესდა, მაგრამ ხელის შემშლელ ფაქტორად მაშინ აუგუსტას ნაციონალური კლუბის საწევრო პოლიტიკა იქცა. საქმე ის არის, რომ კლუბის წესდება ქალ მეგოლფეებს არ იღებს საკუთარ რიგებში. რაგბის კი, გოლფთან შედარებით, გაცილებით დიდი ტრადიციები აქვს ოლიმპიურ მოძრაობაში. რაგბის თამაშობდნენ 1900, 1908, 1920 და 1924 წლების ოლიმპიადებზე. ამასთან, საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი: სოკ-ის ახლანდელი პრეზიდენტი ჟაკ როგი თავის დროზე მორაგბე გახლდათ და, შესაძლოა, ამ გარემოებამაც გარკვეული როლი შეასრულოს. მართალია, როგი რაგბის პირდაპირ ვერ დაუჭერს მხარს, მაგრამ, ფაქტია, მის მიმართ სიმპათია ექნება. ესეც რომ არა, დღეს რაგბი მეტისმეტად პოპულარულია. მაგრამ არც ისეა საქმე, თითქოს მისთვის კარი უკვე ღია იყოს. მეგოლფეებმა და მორაგბეებმა ოლიმპიადების ოფიციალურ პროგრამაში რომ შეაღწიონ, ამისთვის სხვა სახეობების ამოგდებაა საჭირო. "წამსვლელთა" შორის კი თანამედროვე ხუთჭიდი, ბეისბოლი და სოფტბოლი იგულისხმება. ეს ყველაფერი კი გიგანტომანიის თავიდან ასაცილებლადაა საჭირო. ჯერჯერობით საზაფხულო ოლიმპიური პროგრამა სპორტის 28 სახეობას და 300 ასპარეზობას ითვლის. წამსვლელ-დამრჩენთა შორისაა ასევე საცხენოსნო სპორტი, მძლეოსნობიდან - სპორტული სიარული და, რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ანტიკური ხანიდან მოყოლებული, თუ ოლიმპიადების ისტორიას გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ ბერძნულ-რომაული ჭიდაობა ოლიმპიური თამაშების განუყოფელი ნაწილია. ამიტომაც, ვეჭვობთ, პროგრამიდან ამოსაღებად მას კენჭი უყარონ.

რაც შეეხება ბეისბოლსა და სოფტბოლს, სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე იანკებმა ორივეში ოქროს მედლები მოიპოვეს. ამრიგად, მათი პროგრამიდან ამოღება ამერიკელთათვის დიდი დარტყმა იქნება.

ბეისბოლი ბარსელონას ოლიმპიადამდე საჩვენებელი სპორტის სახეობა გახლდათ. სხვა სახეობებისგან განსხვავებით, ეს უკანასკნელი ოლიმპიადებზე თავს ვერ უყრიდა უმაღლესი დონის პროფესიონალებს. მიზეზი ის იყო, რომ უმაღლესი ლიგის თამაშები ოლიმპიადების პარალელურად ტარდებოდა. სოფტბოლის დებიუტი კი ატლანტის ოლიმპიადაზე შედგა. თუმცა, ოლიმპიური პროგრამის განუყოფელ ნაწილად მისი დარჩენა ყოველთვის საეჭვო იყო.

აშშ-ის ბეისბოლის აღმასრულებელი დირექტორის პოლ სეილერის თქმით, თუ სოკ-მა ამგვარი რეფორმები გაატარა, ეს მათი მხრიდან მორიგი შეცდომა იქნება: "ბეისბოლი ოლიმპიადების პროგრამის მნიშვნელოვანი სპორტის სახეობაა. ატლანტის თამაშებზე ჩვენ მილიონობით მაყურებელი გვყავდა და სიდნეიშიც უამრავი ბილეთი გავყიდეთ."

სოკ-ის მაღალჩინოსანთა განცხადებით კი, ჯერ ყველაფერი ბუნდოვანია და საბოლოო გადაწყვეტილებაც არ არის მიღებული. გადაწყვეტილების მისაღებად ჯერ რეკომენდაციები უნდა შეისწავლონ, შემდეგ კი იგი სოკ-ის სრულ ასამბლეაზე განიხილონ. აქ მის დასამტკიცებლად ხმების ორი მესამედია საჭირო. ერთი სიტყვით, უამრავი საფეხურია გასავლელი.

აღსანიშნავია, რომ ხუან ანტონიო სამარანჩის პრეზიდენტობისას სოკ-მა არაერთხელ განიხილა სპორტის ზოგიერთი სახეობის ოლიმპიადების ოფიციალური პროგრამიდან ამოღების შესაძლებლობა, თუმცა, შეკვეცის ნაცვლად, სოკ-ი სპორტის ახალ სახეობებს ამატებდა. ახლანდელი პრეზიდენტის ჟაკ როგის აზრით, სპორტის ახალი სახეობების მისაღებად შემდეგი კრიტერიუმებია საჭირო: "პოპულარობა, უნივერსალობა, რომელიც არც ძვირი იქნება და არც ზიანს მიაყენებს ათლეტის ჯანმრთელობას. ამასთან, აუცილებელია მრავალფეროვნება."

თუ ოლიმპიადების პროგრამიდან ამოიღეს ბეისბოლი, სოფტბოლი და თანამედროვე ხუთჭიდი, მათ ნაცვლად კი კარი გაუღეს რაგბის და გოლფს, მაშინ ოლიმპიადების პროგრამა 27-მდე შეიკვეცება. ყოველ შემთხვევაში, პეკინის ოლიმპიადამდე. ოფიციოზთა განცხადებით, განიხილება კიდევ ერთი სახეობა. თუ რომელი, ჯერჯერობით გაურკვეველია. ერთი სიტყვით, ყველა კითხვას მეხიკოში, ნოემბრის სოკ-ის მორიგ სესიაზე გაეცემა პასუხი.

ჩოგბურთი

# US OPEN: პირველი სენსაცია

**ნიუ-იორკი. აშშ. ვაჟები. ჰარდი. საპრიზო ფონდი 4 774 000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია). პირველი წრე**

ალექსანდრ პოპი (გერმანია) – ანდრეას ვინჩიგერა (შვედეთი) 7:6 (7:4), 7:6 (12:10), 6:2

პიტ სამპრასი (აშშ, 17) – ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 6:1, 6:4, 6:4

გრეგ რუსედსკი (დიდი ბრიტანეთი, 33) – ალექს კიმი (აშშ) 6:1, 4:6, 7:6 (7:1), 6:3

სარქის სარქისიანი (სომხეთი) – დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა, 16) 6:1, 6:4, 6:4

კენეტ კარლსენი (დანია) – ფლავიუ სარეტა (ბრაზილია) 7:6 (7:2), 4:6, 6:4, 5:7, 7:6 (7:4)

მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) – ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:1, 6:2, 6:2

პარადორნ შრიჩაფანი (ტაილანდი) – პრაკაშ ამრიტრაჯი (აშშ) 6:1, 6:3, 6:0

ფერნანდო გონსალესი (ჩილე, 28) – პოლ-ანრი მატიე (საფრანგეთი) 2:6, 7:6 (7:1), 3:6, 6:4, 6:4

ტიმ ჰენმანი (დიდი ბრიტანეთი, 5) – ტომას კეტოლა (ფინეთი) 6:1, 6:1, 6:1

ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა, 26) – ფელიქს მანტილია (ესპანეთი) 6:2, 7:6 (7:4), 6:2

არნო კლემანი (საფრანგეთი) – შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:3, 4:6, 7:5, 6:3

კრისტიან პლესი (დანია) – ერიკ ტეინოუ (აშშ) 6:7 (5:7), 6:3, 6:2, 6:1

**ქალები. შარშანდელი ჩემპიონი ვინუს უილიამსი (აშშ). მეორე წრე**

ელენა ბოვინა (რუსეთი) – ელენა დოკიჩი (იუგოსლავია, 5) 6:3, 6:2

ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) – ელენა დემენტიევა (რუსეთი, 12) 7:6 (9:7), 6:3

სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) – ჟანეტ გუსაროვა (სლოვაკეთი) 2:6, 6:3, 6:2

დალ ბედანოვა (ჩეხეთი, 20) – ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 7:6 (7:2), 2:6, 6:3

ანასტასია მისკინა (რუსეთი, 15) – დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) 3:6, 7:5, 6:1

სერენა უილიამსი (აშშ, 1) – დინარა საფინა (რუსეთი) 6:0, 6:1

სტეფანი ფორეცი (საფრანგეთი) – ანჟელიკ ვიდაია (ინდონეზია) 7:5, 6:1

ბეა ბილეკი (აშშ) – ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი, 27) 6:4, 6:2

სილვია ფარინა-ელია (იტალია, 13) – ელზ კალენსი (ბელგია) 6:2, 6:2

არტურ ეშის სახელობის კორტებზე პირველი სენსაცია დაფიქსირდა. რუსმა ელენა ბოვინამ იოლად დაამარცხა თავისი სეხნია ელენა დოკიჩი, რისთვისაც დღის მოთამაშედ აღიარეს. არადა, ტურნირის ფავორიტების – სერენა უილიამსისა და ჯენიფერ კაპრიატის გამარჯვების შემდეგ ვერავინ იფიქრებდა, რომ იუგოსლაველი, რომელიც კარგ სპორტულ ფორმაში იყო, ასე იოლად დაანებებდა თავს მასზე სუსტ მოწინააღმდეგეს.

ამის მიუხედავად, მატჩის შემდეგ დოკიჩმა აღიარა, რომ ბოვინამ მას ყველა გზა გადაუკეტა და, უბრალოდ, თამაშის უფლება არ მისცა. "კორტზე არაფრის შეცვლა არ შემეძლო, – ამბობს დოკიჩი, – ყველა ბურთი, რომელიც მეტოქის ნახევარზე გავგზავნე, ჩემკენ უფრო ძლიერი დარტყმით ბრუნდებოდა. ბოვინა მართლაც მოწოდების სიმაღლეზე იდგა".

რუსს კი ყოველი ასეთი დარტყმის შემდეგ მხნეობა ემატებოდა და ორმაგი ენერგიით უტევდა. მატჩის შემდეგ ბოვინა ქალთა ჩოგბურთის პროგრესზე ალაპარაკდა. "ქალთა ჩოგბურთი დღითი დღე ძალისმიერი ხდება, ამიტომ ყოველდღიური პროგრესი აუცილებელია", – თქვა მან.

ფეხბურთი

# ჯანაშია - კოპენჰაგენი 1:4

## უეფა-ს თასი. საკვალიფიკაციო ეტაპი. ლოკომოტივი (საქართველო) 1:4 კოპენჰაგენი (დანია)

*1:0 ჯანაშია (10`), 1:1 ზუმა (21`), 1:2 პეტერსონი (68`), 1:3 პეტერსონი (75`) 1:4 იენსენი (81`).*

***ლოკომოტივი:*** *ლომაია, ბალაშვილი, ორბელიძე, სალუქვაძე, კვარაცხელია, ონიანი, ჭიჭვეიშვილი (ლაცაბიძე 21`), სირაძე (ბურნაძე 46`), ქორიძე, კაიდარაშვილი, ჯანაშია.*

***კოპენჰაგენი:*** *კილშტედტი, ანტონელიუსი, რუბა, სვენსონი, ალბრეხტსენი, ლონსტრუპი, მიუკლანდი, ნილსენი, ლარსენი, ზუმა (პეტერსონი 65`), მიოლერი (ლარსენი 75`).*

ზაზა ჯანაშია სიტყვის კაცია. თქვა, დანიელებს ერთს კიდევ გავუტანო და გაუტანა კიდეც. შეგვიძლია ამით მაინც ვინუგეშოთ თავი, მაგრამ ფეხბურთი რომ გუნდური თამაშია და არა ინდივიდუალური, ამაში "კოპენჰაგენმა" კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა. ყველა, როგორც ერთი უტევდა და ასევე კოლექტიურად იცავდა თავს, მაშინ, როცა "ლოკომოტივის" შემადგენლობაში, დაცვასა და ნახევარდაცვას, ასევე თავდასხმას შორის დიდი ვაკუუმი იქმნებოდა და ამ სიცარიელის შევსება ქართველმა ფეხბურთელებმა ვერ მოახერხეს. "ლოკომოტივში" არ აღმოჩნდა ისეთი მოთამაშე, რომელიც თამაშს დაალაგებდა და უნარიანად გაუძღვებოდა.

თანაც ნუ დაგვავიწყდება, რომ "კოპენჰაგენი" ევროპული საზომით საშუალო კლუბების რიცხვს განეკუთვნება. უნდა ვაღიაროთ, რომ ქართულსა და ევროპულ ფეხბურთს შორის დიდი უფსკრულია და ამ უფსკრულის ამოვსებას თანამედროვე, ევროპული მასშტაბის მწვრთნელი და ასევე ევროპული მასშტაბის პროფესიონალი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი სჭირდება.



ჯანაშია (მარცხნივ) სიტყვის კაცია

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ქართულ კლუბებს კი, ამ შემთხვევაში "ლოკომოტივს", არც ერთი ჰყავს და არც მეორე. ამ მოსაზრების ნათელი დასტური ის შტურმია, რომელიც "ლოკომოტივის" კართან ზაზა ჯანაშიას გოლს მოჰყვა. სტუმართა ყველა შეტევა ლოგიკურად, კარში დარტყმით მთავრდებოდა.

"ლოკომოტივმა" კი მხოლოდ კაიდარაშვილის მწვავე იერიშით დაგვამახსოვრა თავი. "კოპენჰაგენმა" თავის სასარგებლოდ ორჯერ შემოაბრუნა თამაში – ჯერ დანიაში, შემდეგ კი თბილისშიც. ეს კი "ლოკომოტივის" ტაქტიკურ უცოდინარობაზეც მეტყველებს. ჯანაშიას გოლის შემდეგ, მასპინძლები დაიბნენ და უბრალოდ არ იცოდნენ როგორ მოქცეულიყვნენ.

შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ "კოპენჰაგენს" რამდენიც დასჭირდებოდა, იმდენს გაიტანდა, რადგან მე-10 წუთიდან მოყოლებული მინდორზე მხოლოდ თეთრმაისურიანი ფეხბურთელები დომინირებდნენ. ზედმეტია საუბარი მეკარისა, თუ გუნდის ცალკეული რგოლების შეცდომებზე. ყველაფერი ისედაც თვალსაჩინოა – "ლოკომოტივის" თამაშში სათამაშო დისციპლინა და ორგანიზაცია არ შეინიშნება. ასეთი მიდგომით კი, არათუ "კოპენჰაგენს", ოდნავ თავმოყვარე ევროპულ კლუბსაც ვერ დავამარცხებთ. საწყენია, მაგრამ ფაქტია და ამ ფაქტს, გვინდა თუ არა უნდა შევეგუოთ.

სხვა თამაშების შედეგები

| | |
|---|---|
| ტულევიკი – დინამო | 0:1 |
| პოლონია – შლიემა | 2:0 |
| პუხოვი – ატირაუ | 2:0 |
| ზვარტნოცი – პრიმორიე | 2:0 |
| ნოვა გორიცა – რაპიდი (რუმ.) | 1:3 |
| ატლანტასი – ლიტექსი | 1:3 |
| სარტიდი – ბანგორი | 2:0 |
| ზენიტი – ენკამპი | 8:0 |
| ვიკტორია – დომაგნანო | 3:0 |
| ჰიკი – გომელი | 0:4 |
| კარნტენი – ლიეპაია | 4:2 |
| მაკაბი (თელ-ავივი) – ლევადია | 2:0 |
| ნისტრუ – აბერდინი | 0:0 |
| ვისლა – გლენტორანი | 4:0 |
| აელი – ფერენცვაროში | 2:1 |
| დიურგარდენი – შემროკი | 2:0 |
| გოთუ – ჰაიდუკი | 0:8 |
| გიოტებორგი – ზიმბრუ | 2:2 |
| ნაციონალი – ტირანა | 2:2 |

*დანარჩენი მატჩები გვიან ღამით დამთავრდა.*

# ჟორდანიას UEFA ულოცავს

ოთხშაბათს, 28 აგვისტოს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ UEFA-ს გენერალური მდივნის გერჰარდ აიგნერის მისალოცი ფაქსი მიიღო.

გთავაზობთ წერილის სრულ ტექსტს:

*ძვირფასო ბატონო ჟორდანია,*

*ვადასტურებთ, რომ მივიღეთ 24 აგვისტოთი დათარიღებული ფაქსი, რომელიც გვატყობინებს, რომ კონგრესმა თქვენ ხელახლა აგირჩიათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად 2002/2006 წ.წ. ვადით.*

*უეფა-ს პრეზიდენტ ლენარტ იოჰანსონისა და UEFA-ს აღმასრულებელი კომიტეტის სახელით, გვსურს, გულწრფელად მოგილოცოთ არჩევნებში გამარჯვება, გისურვოთ წარმატება და დასახული მიზნების მიღწევა.*

*იმედი გვაქვს, რომ ჩვენს შორის უკვე არსებული თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება,*

*კეთილი სურვილებით,*
*გერჰარდ აიგნერი,*
*UEFA-ს გენერალური მდივანი*

# რუსები დაცვას ითხოვენ

28 აგვისტოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მიიღო რუსეთის საფეხბურთო კავშირის გენერალური მდივნის ვლადიმირ როდიონოვის ფაქსი, რომელიც 12 ოქტომბერს გასამართ საქართველო-რუსეთის ნაკრები გუნდების შეხვედრას ეხება.

რუსეთის საფეხბურთო კავშირი საქართველოსგან მათი ნაკრები გუნდისა და გულშემატკივრების უსაფრთხოების გარანტიებს მოითხოვს.

როდიონოვი აღნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის არასტაბილური პოლიტიკური ურთიერთობაა. "აქედან გამომდინარე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩვენი აღელვება 11-12 ოქტომბრის მატჩების წინ", - ნათქვამია ფაქსის ტექსტში.

რუსეთის მხარე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან დამატებით ინფორმაციას მოითხოვს მათი ნაკრები გუნდის დელეგაციისა და გულშემატკივრების დაცვასთან დაკავშირებით.

მომავალი მატჩის თაობაზე რუსეთში დიდი აჟიოტაჟი ყოფილა. ქვეყნის საფეხბურთო კავშირმა უამრავი შეკვეთა მიიღო ტურისტული ფირმებიდან. როდიონოვის თქმით, რუსეთის ნაკრებს დაახლოებით 2000 გულშემატკივარი ჩამოჰყვება თბილისში. "ისინი დალევენ ქართულ ღვინოს ან კიდევ რამეს და ვინ შეძლებს მათი საქციელის გაკონტროლებას?" – კითხულობს როდიონოვი, თუმცა, იქვე აღნიშნავს, რომ მატჩის გადატანაზე საუბარი არ ყოფილა: "თქვენ წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავს ფეხბურთი საქართველოსთვის? როგორ მიიღებს ეს ქვეყანა მატჩის გადატანას? ამაზე საუბარი ჯერ არ ყოფილა".

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია საპასუხო ფაქსით იმ დღესვე გამოეხმაურა თავის რუს კოლეგას.

ჩოლარიამ, ამ საკითხთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ 12 ივლისს წერილობით მიმართა საქართველოს სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს და მომავალი მატჩისთვის მთავრობას თადარიგის დაჭერა სთხოვა.

როდიონოვის სახელზე გაგზავნილ ფაქსში ვალერი ჩოლარია რუსეთის საფეხბურთო კავშირს ყოველგვარ დახმარებას ჰპირდება საბაჟოზე, დაცვის უზრუნველყოფისა და სამედიცინო დახმარების მხრივ. წერილში აღნიშნულია, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით, საქართველოს სახელმწიფო მინისტრისგან დადებითი რეზოლუცია იქნა მიღებული, კონტროლი კი მინისტრის მოადგილეს თედო ისაკაძეს დაევალა.

მიუხედავად ამისა, ქართული მხარე თავის რუს კოლეგებს მიუთითებს, რომ გულშემატკივართა უსაფრთხოებასა და სხვა საკითხებზე, პირველ რიგში, უნდა იზრუნონ იმ ტურისტულმა სააგენტოებმა, რომლებიც გულშემატკივრების თბილისში ჩამოსვლას უკეთებენ ორგანიზებას.

# ჩემპიონთა ლიგა კვლავ რომა - რეალით იხსნება

დიმიტრი ობოლაძე

2002-03 წლის ჩემპიონთა ლიგის პირველი ტური შარშანდელის გამეორება იქნება. წინა სეზონში ტურნირი იტალიის "რომასა" და ესპანეთის "რეალის" შეხვედრით გაიხსნა. მატჩი რომში გაიმართა და სტუმართა გამარჯვებით დასრულდა (2:1). გუშინ მონაკოში კენჭისყრა გაიმართა. ევროპის 32 საუკეთესო გუნდი 8 ქვეჯგუფად დაიყო. აღსანიშნავია, რომ გათამაშებაში ორი ქართველი ფეხბურთელი მიიღებს მონაწილეობას. "მილანის" ღირსებას კახა კალაძე იცავს და იმედია, ძირითად შემადგენლობაში ვიხილავთ. ჰოლანდიის "ეინდჰოვენის" მწვრთნელი, გუს ჰიდინკი კი კიდევ უფრო მეტად ენდობა გიორგი გახოკიძეს.

**A ჯგუფი**
**ბორუსია**
**ოსერი**
**ეინდჰოვენი**
**არსენალი**

ჯგუფში ორი ფავორიტია - დორტმუნდის "ბორუსია" და ლონდონის "არსენალი". არსენ ვენგერი: "საკმაოდ კარგ ჯგუფში მოვხვდით. თუმცა, ვთვლი, რომ ნებისმიერ შეხვედრაში დაგვჭირდება ძალთა მაქსიმალური მობილიზება. ჩვენ პირველი ადგილისათვის ვიბრძოლებთ." "ოსერისა" და "ეინდჰოვენის" ჩამოწერაც არ შეიძლება. ფრანგული ფეხბურთის პროგრესი აშკარაა. ჰოლანდიელებს კი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მწვრთნელი წვრთნის.

**B ჯგუფი**
**სპარტაკი**
**ვალენსია**
**ლივერპული**
**ბაზელი**

ესპანელები და "ლივერპული" ფავორიტებად ითვლებიან. მოულოდნელია შვეიცარიის "ბაზელის" ლიგაში გამოჩენა. ამ კლუბმა მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე სასწაულის მოხდენა შეძლო და ორი მატჩის ჯამში შოტლანდიის "სელტიკი" დაამარცხა.



თასი ახალ მფლობელს ელის

**C ჯგუფი**
**რეალი**
**გენკი**
**აეკი**
**რომა**

**D ჯგუფი**
**ლიონი**
**როსენბორგი**
**ინტერი**
**აიაქსი**

"ინტერის" ხელმძღვანელობა წელს ფინალში გასვლით და თასის აღებით იმუქრება. რონალდოს გარშემო კი აჟიოტაჟი არ ცხრება. ბრაზილიელს არ სურს იტალიაში დარჩენა. მოლაპარაკება "რეალსა" და "ინტერს" შორის დღესაც გრძელდება. ამ ჯგუფში უდავო ფავორიტი, სწორედ, "ინტერია". სპეციალისტთა აზრით, დანარჩენ სამ გუნდს მეორე ეტაპზე გასვლის თანაბარი შანსი აქვთ.

**E ჯგუფი**
**ნიუკასლი**
**ფეიენოორდი**
**იუვენტუსი**
**დინამო**

ყველაზე დაძაბული ბრძოლა, ალბათ, ამ ჯგუფშია მოსალოდნელი. ტურინელები, ისევე როგორც სხვა იტალიური კლუბები, საკუთარი ქვეყნის ფეხბურთის პრესტიჟის აღდგენას შეეცდებიან. "ნიუკასლი" ძლიერი გუნდია და ნებისმიერის დამარცხება შეუძლია. ჰოლანდიის "ფეიენოორდი" მშვენიერ ხასიათზე ხვდება 2002-03 წლის სეზონს. ჰოლანდიელებმა უეფა-ს თასი მოიგეს, დღეს კი სუპერთასის მოგებას შეეცდებიან. 23 საათსა და 30 წუთზე უეფა-ს ოფიციალური პარტნიორის, სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი-2"-ზე იხილავთ ამ მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს მონაკოდან. ჰოლანდიელთა მეტოქე ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული, მადრიდის "რეალი" იქნება.

**F ჯგუფი**
**ლევერკუზენი**
**მანჩესტერი**
**მაკაბი**
**ოლიმპიაკოსი**

**G ჯგუფი**
**ლანსი**
**ბაიერნი**
**დეპორტივო**
**მილანი**

კახა კალაძე, რივალდო, შევჩენკო და კომპანია სერიოზულ გამოცდას ჩააბარებენ. "ბაიერნი" დღეს ისეთი ძლიერია, როგორც არასოდეს - ასე ფიქრობს ფრანც ბეკენბაუერი. ზე რობერტო და ბალაკი ორმაგად ზრდიან მიუნჰენელთა პოტენციალს. მეორე ადგილისათვის ბრძოლა, ალბათ, იტალიელებსა "დეპორტივოს" შორის გაიმართება.

**H ჯგუფი**
**ბრიუგე**
**ლოკომოტივი**
**გალათასარაი**
**ბარსელონა**

"ხელსაყრელ ჯგუფში მოვხვდით. ჩემი გუნდი უდავო ფავორიტია. ვეცდებით, ქულათა მაქსიმუმი მოვიპოვოთ და ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდეთ," - ეს სიტყვები ეკუთვნის კატალონიელთა "ძველ-ახალ" მწვრთნელს, ლუის ვან გაალს, რომელმაც უცერემონიოდ, დაუფიქრებლად გაუშვა გუნდიდან რივალდო.

*მოკლედ, ჩემპიონთა ლიგა სტარტს 17-18 სექტემბერს იღებს. პირველი შეხვედრა "რომა" -"რეალია," რაც საინტერესო და დაძაბული, მარათონული სეზონის საწინდარია.*

## პირამიდის მშენებლობის ახალი ჰიპოთეზა

პირამიდის მშენებლობის ახალი ჰიპოთეზა წამოაყენა ახალგაზრდა მოყვარულმა ეგვიპტოლოგმა ტარიკ ლიუტფი სადიკმა. იგი ალექსანდრიაში ცხოვრობს და ერთ-ერთ სასწავლებელში ფიზკულტურას ასწავლის.

სადიკი დარწმუნებულია, რომ 2 - ტონიანი ქვის უდიდესი ლოდები, რითაც ფარაონების აკლდამებია აგებული, სპეციალური მექანიზმის მიხედვით ეწყობოდა. მოყვარული მკვლევარის აზრით, ეს არის ორიგინალური კონსტრუქციის ერთგვარი ბაწრები, რასაც "საბიას" უწოდებენ და რომელიც ეგვიპტურ სოფლებში ბამბის ნედლეულის დიდი მოცულობის, საკმაოდ მძიმე შეკვრების ტრანსპორტირებისათვის დღემდე გამოიყენება.

სადიკი თვლის, რომ ეს მექანიზმი წარმოადგენს თოკებით შეკრულ სამი ხის ძელს. მისი მუშაობის პრინციპია - "საბიის" ნაწილებში ტვირთის თანაბარი განლაგება. სადიკმა გააუმჯობესა ეს კონსტრუქცია და მისი მოქმედი მაკეტი შექმნა.

ალექსანდრიელი მკვლევარის აღმოჩენამ მსოფლიო მნიშვნელობის ეგვიპტოლოგი დააინტერესა. ეგვიპტის სიძველეების უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, გიზაში არქიტექტურულ-ისტორიული კომპლექსის დირექტორი, დოქტორი ზახი ხავასა ამ მაკეტის სანახახვდ სპეციალურად ალექსანდრიაში ჩავიდა. ხავასმა მაკეტი მოქმედებაში იხილა და ექსპერიმენტის შესახებ განაცხადა - "მოცემული ვერსია უდავოდ ყურადღების ღირსია".

თუმცა, იქვე დასძინა, რომ ძველეგვიპტურ წყაროებში "საბიას" მსგავს მოწყობილობაზე არაფერია ნახსენები. "საიდენტიფიკაციო მასალას" არ იძლევა არც იმ ხანის ქანდაკებები და ფრესკული წარწერები.

## მამაკაცი-ტაიფუნი

ჰამბურგის ქალთა გაზეთმა "Tina"-მ გამოკვლევა ჩაატარა: ვინ არის გერმანელი ქალების საოცნებო მამაკაცი. გამოკითხვაში მონაწილეობდა 4.178 16-დან 60 წლის ასაკამდე ქალი. შედეგებმა ნათელყო, რომ გამოკითხულთა 82 პროცენტი რიჩარდ გირზე ოცნებას აყოლებს გულს. მეორე ადგილი დაიკავა 65 წლის რობერტ რედფორდმა, ხოლო მესამე – ჯორჯ კლუნიმ. გერმანელი მამაკაცები აშკარად დაიჩაგრნენ.

## გახდით ქალღმერთი!

ჭრელი ჩითის კაბებისა და ყვავილების რომანტიკას ოლიმპიური ქალღმერთების სტილი ცვლის. ჟურნალი "Cosmopolitan"-ი "არამიწიერ" მოდას უწევს რეკლამას: სატინისა თუ შიფონის გრძელ, დაშვებულ კაბაში, თასმებით შეკრულ სანდლებში გამოწყობილმა, რთული ვარცხნილობით დამშვენებულმა ქალმა, მოდელიორების აზრით, თავი ნამდვილად უნდა იგრძნოს აფროდიტად თუ არა, ათენად მაინც...

## იოგა წვეულების ნაცვლად

ოჯახური უსიამოვნებები წარსულს ჩაბარდა, და ბრიტნი სპირსი კვლავ გადაეშვა ღამის ცხოვრების მორევში. ყვითელი პრესა გახარებულია: ბრიტნის მიერ სიმთვრალეში ჩადენილი სისულელეები, სასიყვარულო ეპიზოდები, დედასთან საქმის გარჩევები შესანიშნავ მასალას იძლევა საჭორაოდ. ქალთა ჟურნალმა "Belle"-მ ისიც აღნიშნა, რომ თუმცა ბრიტნი სპირსის შემოსავალი 30 მილიონი დოლარია, მას ყოველთვის უგემოვნოდ აცვია.

მაგრამ, როგორც ჩანს, ჟურნალისტების სიხარულს დიდი დღე არ უწერია: ბრიტნის გადაწყვეტილი აქვს, წვეულებების ნაცვლად იოგას კურსებზე იაროს, გონივრულად იკვებოს და საერთოდ, გამოიძინოს ხოლმე.

## ფილ კოლინზი ჩივის

ფილ კოლინზმა განაცხადა, რომ დიდ ტურნეებზე უარს ამბობს. "ამდენი მოგზაურობა აღარ შემიძლია და აღარც წლობით სასტუმროებში ცხოვრება მომწონს". გარდა ამისა, გაირკვა, რომ მუსიკოსს ბოლო დროს მარცხენა ყურში სმენა დააკლდა და ამიტომ ახლა დიდ ხმაურს ერიდება. ეს უსიამოვნო ამბავი დედოფალ ელისაბედ II–ის საიუბილეო კონცერტზე შეუმჩნევია, სადაც Queen–თან ერთად უნდა დაეკრა "We Are The Champions". "ეს ჯგუფი ძალიან ხმამაღლა უკრავს, ასეთი არაფერი გამიგონია. რომ დაცხეს, ყური კინაღამ გამისკდა და შესრულებაზე უარი ვთქვი."



# ლეონარდო დი კაპრიო მაიმუნებს აღარ დაიცავს

კინოსა და მუსიკის ბევრმა ვარსკვლავმა დაპირება არ შეასრულა და არ ჩავიდა იოჰანესბურგში გამართულ სამიტზე. მსოფლიო სამიტზე, რომელიც გარემოს დაცვის პრობლემებს მიეძღვნა, პირველ რიგში ლეონარდო დი კაპრიოს გამოჩენას ელოდნენ. ორი კვირის წინ მან შეერთებული შტატები გარემოს დაბინძურების საქმეში წამყვან ქვეყანად დაასახელა. ხოლო ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია იმაში დაადანაშაულა, რომ უარი თქვა შეერთებოდა გარემოს დაცვის საერთაშორისო შეთანხმებას. მწვანეების მიერ გამართულ მიტინგზე, პათოსით სავსე სიტყვებით დი კაპრიომ ჯორჯ ბუშს მოუწოდა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს გარემოს დაცვის პრობლემებს და აუცილებლად დაესწროს სამიტს. მაგრამ თავად "ტიტანიკის" ვარსკვლავი ამერიკაში დარჩა. მას კი, როგორც დაგეგმილი იყო, მხარი უნდა დაეჭირა დიდი მაიმუნების გადარჩენის პროექტისთვის. სამხრეთ აფრიკაში არც სიუზენ სარანდონი ჩავიდა, რომელიც სხვებთან ერთად აგიტაციას უწევდა ამერიკის პრეზიდენტს იოჰანესბურგში ჩასულიყო.

1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში გამართულ მსგავს ღონისძიებაზე სტინგი, ჯეინ ფონდა და შირლი მაკლეინი ჩავიდნენ. წლევანდელი ფორუმის მიმართ შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები გულგრილები აღმოჩნდნენ. ფორუმის ორგანიზატორები კი იმედოვნებდნენ, რომ სამიტზე ვარსკვლავების დასწრება მეტ ინტერესს გამოიწვევდა და პრობლემების გადაწყვეტაში დაეხმარებოდათ. მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ, საზოგადოებრივ საქმიანობაში ისეთმა აქტიურმა ფიგურამ, როგორც U2-ს სოლისტი ბონოა, უარი თქვა იოჰანესბურგში ჩასვლაზე. ბონომ ამერიკის ფინანსთა მინისტრთან, პოლ ო`ნილთან ერთად აფრიკის უღარიბეს ქვეყნებში მოგზაურობის გაგრძელება ამჯობინა.


ლეონარდო დი კაპრიო

ცნობილი ადამიანების გულგრილობას დამკვირვებლები იმით ხსნიან, რომ ათი წლის წინ მათ სჯეროდათ, სამიტზე დასწრებით, უკეთესობისკენ შეცვლიდნენ პლანეტაზე ცხოვრებას.

# „პეპსი„ ფრთიანი ანგელოზების პროპაგანდაში

პეპსის ახალი სარეკლამო კამპანია მორიგი სკანდალის მიზეზი გახდა. 30-წამიანი სარეკლამო რგოლი, რომელშიც ამერიკელი რეპერი ლუდაკრისი მონაწილეობდა, ეთერიდან მოიხსნა. მიზეზი რეკლამის მთავარი გმირის ცუდი იმიჯი აღმოჩნდა. "ჩვენ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მომხმარებლის აზრი. კლიენტები კი თვლიან, რომ არ სურთ, სარეკლამო რგოლში ის მომღერალი იხილონ, რომლის ბინძური სიტყვებით სავსე სიმღერებსაც ვერ იტანენ. ამიტომ გადავწყვიტეთ კამპანიის შეჩერება და ბოდიშს ვუხდით ყველა მომხმარებელს, რომლებმაც თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს", - ნათქვამია "პეპსის" განცხადებაში.

ბუნებრივია, პირველ რიგში, შეურაცხყოფილად თავს თავად რეპერი გრძნობს. მას ზურგს უმაგრებს "Fox News"-ის ჟურნალისტი, ბილ ო`რილი. "მოვუწოდებ ყველა ამერიკელს, ეს საქმე ასე არ დატოვოს და "პეპსი" თავისი საქციელისთვის დასაჯოს", - აცხადებს ის.

თუმცა, ოდნავ ცუდი რეპუტაციის მქონე ვარსკვლავებმა უკვე უნდა იცოდნენ, რომ "პეპსისთან" საქმის დაჭერა ცოტა სახიფათოა, რადგან ის მუსიკოსებს პატარა შეცდომასაც კი არ პატიობს. ლუდაკრისის დათხოვნის ანალოგი "პეპსის" ისტორიაში უკვე არსებობს. 1989 წელს ცუდი იმიჯისთვის მადონა დასაჯეს. მას ის არ აპატიეს, რომ ვიდეოში Like A Prayer ის დამწვარი ჯვრების ფონზე მღეროდა. ამ სიმღერამ "პეპსიზე" უფრო ადრე ეკლესიის განრისხება გამოიწვია.




# სკანდინავიური კროსვორდი

"რუსთავი-2"-ის გადაცემა
უნგრელი ფეხბურთელი
ჩინური მედიცინის მეთოდი
სოფელი სოხუმთან
ოფიციალური სტუმრობა
ცხოველი
... ჯიგარხანიანი
ცხენის ტვირთი
პირველი წარმოდგენა
...-ლიზი
ოპტიკური ძალის ერთეული
ბერძენი მეიგავე
სამხრეთ ამერიკის სახელმწიფო
ბრაზილიელი მწერალი
რადიაქტიური ელემენტი
ტროპიკული ხილი
ფოტო-...
რუსული ფული
უალკოჰოლო სასმელი
ხომალდის სარკმელი
აშშ-ს სამრეწველო ქალაქი
მსუბუქი ვერანდიანი შენობა
ქართველი კალათბურთელი
მტკიცე პირობა
მწერი
დიდი ძაგლი
ქართველი ოქრომჭედელი
სალებავი
სოფელი ქართლში
... სენ-ჟერმენი
მითიური ხომალდი
ამერიკის კინოაკადემიის პრიზი
ბადმინტონის ბურთი
ოქროს ...
სალებავებიანი ფიცარი
... ნიუმენი
ყურძენს ისხამს ...
მკითხავი
საწერი ტყავი
"გერნიკას დაღუპვის" ავტორი
ემალი
მუზეუმი მადრიდში
ოჯახური "გოილერი"
სნეულება
ცრუ
ჯეიმს ...
გერმანიის მდინარე
მონადირე ფრინველი
აფრიკის სახელმწიფო
სტიქიური უბედურება
ქვირფასი ქვა
გაკურიანის სათხილამურო ტრასა
ჟან ... ვანდამი
ბერძნული ანბანის ასო
ხნოვანება
ტვირთი ხომალდის მდგრადობისათვის
ჯაშუში
სამოქალაქო ან საერთაშორისო ...
გოლკიპერი
სასმისი
ტანკების, გემების დიდი შენაერთი
ფრანგი კომპოზიტორი
სკანდინავიის ქალაქი
სისველე
პ. ალმადოვარის ფილმი
... დერეკი
ტოტი
რუსეთის ქალაქი
"დორიან ... პორტრეტი"





**N87-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხი**

**თარაზულად:** მაჭარი; აფხაზეთი; ემე; ოთახი; ბია; სადენი; ავერსი; აკლდამა; შარი; დიონისე; აკუსტიკა; ბანანი; ქნარი; ნინო; ეირე; ტესტი; ჩელტი; კრემლი; მხალი; კილმერი; კია; იოდი; წირი; სექტა; ტრესტი; არმაზი; არაყი; ალმასი; ანაბარა; არ; კრივი; ისტორია; ლედ; ორბიტა; კანდელაკი; ტურა; ლიტონი.

**შვეულად:** ეკლესია; ფრაქცია; ერა; რური; მხედრიონი; ოქტავია; ანათემა; ყავა; ოზონი; პლაკატი; ზეთი; უსიერი; ტრაპი; კაბერნე; მიხაკი; ქრომი; დიდრო; ივლიანე; ხლისტები; სამოსი; ასფალტი; ამბრაზურა; ლედი; არტი; რეისმუსი; ჩირი; ალაო; სკრა;. რუპია; შინელი; წამალი; პაკისტანი; ალ; გრანტი; ეროზია; ბრიზი; როდ.

# TV პროგრამა 30 აგვისტო

## რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯუნგლების წიგნი
08.00 კურიერი
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 კომუნიკატორი
10.40 ცხოველთა ომები
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 ლუისი და კლარკი
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 ცხოველთა ომები
18.55 კუსტოს წყალქვეშა ოდისეა
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 სერიალი "პოლტერგეისტი"
22.50 კურიერი
23.45 უეფას სუპერთასი: "რეალი" - "ფეიენოორდი"
02.10 მხ.ფ. "ვირთხების რბოლა"

## პირველი არხი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე
08.10 დოკ. ფილმი "ეს არის კინო"
08.35 სერიალი "საზღვაო პოლიცია"
09.25 მულტფილმი "შავი მეკობრე"
10.15 სერიალი "ძილის წინ"
10.30 დოკ. ფილმი "მოგზაურობა"
11.15 სერიალი "ფსიქფაქტორი"
12.15 სერიალი "სენსაცია"
12.40, 18.50 ვიდეოპატრული
12.50 სატ. კ.დარბაზი "ინდი-მინდი"
14.05 დოკ. პროგრამა "იდუმალი შამბორი"
15.15 მხ. ფილმი "ცოფიანი"
16.45 "მეტრო"
17.15 50-50 18.00 "ვესტნიკი"
18.20 სერიალი "სენსაცია"
19.00 ფეხბურთი უეფას თასის გათამაშების საკვალიფიკაციო ტურნირის მატჩი: ტალინის "ტულევიკი" - თბილისის "დინამო" (მატჩის ფრაგმენტები)
19.40 გასტი-გუგუ
21.00 სერიალი "ფსიქფაქტორი"
21.45 "თბილისის დროით"
22.05 სატ. სპექტაკლი "ნოველა სიყვარულზე"
23.35 ტელესერიალი "ძილის წინ"
00.10 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.30 სერიალი "საზღვაო პოლიცია"

## მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი
21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის"
22.10 აფხაზეთის ტელევიზია
22.40 მხ. ფილმი "მომიტანეთ მევის დევის თავი"

## ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "ვესტი"
10.15, 21.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი
10.45, 22.40 პროგრამა "მსოფლიო სპორტი"
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25 სალონი
14.00 ექიმი გვირჩევს
18.30 სერიალი "ბუდულაის დაბრუნება"
20.00 გადაცემა "ხვალ - საქართველოს პოლიტიკური ანატომია"
21.40 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება
23.40 ძველი კინოკლასიკა. მხატვრული ფილმი "პოლიციელის სიტყვა"

## იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "ბელა მაფია"
10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
10.20 მხ.ფ. "ბელა მაფია"
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები"
18.45 ბუნების ფერები
20.00 მხ.ფ. "ხვალინდელი დღე არასოდეს მოკვდება"
22.30 მხ.ფ. "არსება"
00.30 ღამის ფილმი

## პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
09.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
11.30 "ვიდეო-რადიო" განმეორებით
13.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
14.00 მხ. ფილმი
17.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "ამერიკის საყვარლები"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეო-რადიო
21.00 რუსული ათეული
21.45 მოკლე სეანსი
22.00 ჩაძირობანა
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "პიერო".
01.50 "ღამურა" მხ.ფ. "მორიელთა მეფე"
03.10 ნონ-სტოპი

## კავკასია

12.00 მხ.ფ. "ნიკი, ეშმაკის შვილი"
13.30 მხ.ფ. "განკიცხულნი"
16.30 მუსიკა
17.00, 19.00, საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "შფოთის თავები"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი
22.00 მხ. ფილმი "პირადი მცველი"

## მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "შეჰრაზადი",
09.45 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო"
10.15, 12.10, 14.20, 21.45, 00.20 მუსიკა
10.30 მხ. ფილმი "ქარწაღებულნი",
12.20 მხ. ფილმი "ქარწაღებულნი",
14.45, 19.00 დისქავერი
15.40 მხ. ფილმი "მარსი უტევს"
17.45 მულტფილმი "შეჰრაზადი", 39-ე სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო"
19.30 მუსიკალური გადაცემა "ბელისიმო"
20.00 ლიმონი და ლიმონათი
21.20 მულტფილმი "მავნე კატა"
21.50 მხ.ფ. "სეიფების მძარცველი".
00.40 მხ. ფილმი "პლანეტა კა-პექსი".

## აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ქართული მხ.ფ. "ბაკულას ღორები"
10.15 სათავგადასავლო ფილმი "სამი ნინძა"
12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 დრამა "ამისტადი"
14.40 მხატვრული ფილმი "აეროგოსი"
16.15 მულტფილმი "ვარდისფერი რაკეტა"
17.05 კომედია "მოკლე ვადა"
19.00, საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
19.20, საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 დოკუმენტური ფილმი
20.20 ქართული მხატვრული ფილმი "ნოე"
22.50 "პერსონა"
23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.10, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.15 "ექსკლუზივი"
01.05 დრამა "შინდლერის სია", 1 სერია
03.30 მხატვრული ფილმი "ბასრი სამართებელი"

## VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.20 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.30 "აჩიკუდა"
09.55 მოკლედ... სპორტი
10.05 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
10.40 მელოდია
11.10 ანიმაცია
11.25 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
11.55 "მელოდია"
12.15 "ბრძოლა წესების გარეშე"
12.40 დისნეი და მისი მეგობრები
13.00 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
13.45 სპორტი
13.50 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.20 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 "ობიექტივი"
20.30 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
21.05 "ბრძოლა წესების გარეშე"
21.40 მოკლედ... სპორტი
21.45 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
21.50 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
22.25 "კინოკლუბი " - "სტალინი"
00.50 პრესის მიმოხილვა
01.00 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
01.15 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
01.45 "ბიორითმი"
02.15 პრესის მიმოხილვა

## ОРТ

07.00 Телеканал "Доброе утро".
10.00, 13.00, 16.00 Новости.
10.15 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ".
11.15 "Знатоки" возвращаются. в детективе "ДО ТРЕТЬЕГО ВЫСТРЕЛА". Дело N 13. 2-я серия.
13.15 Сериал "ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНТСТВО "ЛУННЫЙ СВЕТ".
14.15 "Народ против". Телеигра.
15.00 Многосерийный фильм "УБОЙНАЯ СИЛА: СЛЕД БУМЕРАНГА".
16.15 Документальный сериал "Дикие штучки".
16.50 Сериал "БЛЕСК И НИЩЕТА КУРТИЗАНОК".
17.55 Многосерийный фильм "САМОЗВАНЦЫ".
19.00 Вечерние новости.
19.20 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ".
20.15 Человек и закон.
20.50 Поле чудес.
22.00 Время.
22.35 Концерт Раймонда Паулса "Лучшие песни".
00.15 Комедия "ПОЛИЦЕЙСКАЯ АКАДЕМИЯ - 4: ДРУЖИННИКИ НА УЛИЦАХ".
02.00 Триллер "ПОХИЩЕНИЕ В РАЮ".

## РТР

06.45 - 09.45 "Доброе утро, Россия".
09.45 Детективный сериал "КАМЕНСКАЯ-2". Фильм 1-й. " УКРАДЕННЫЙ СОН". 4-я серия.
10.50 "Сам себе режиссер"
11.50 Вести.. Дежурная часть.
12.00, 15.00, 18.00, 21.00 ВЕСТИ.
12.20 Сериал "ЗАКОН".
13.25 Ток-шоу "Цена успеха".
14.30 "Мусульмане".
14.45 ВЕСТИ.-МОСКВА.
15.20 ВЕСТИ.-СПОРТ.
15.25 "Что хочет женщина".
16.25 Телесериал "ДИКИЙ АНГЕЛ ВОЗВРАЩЕНИЕ".
17.20 Телесериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ".
18.20 "Сказки о любви".
19.20 МЕСТНОЕ ВРЕМЯ. ВЕСТИ.-МОСКВА.
19.50 Сериал "ВОРОВКА".
20.50 Спокойной ночи, малыши.
21.35 МЕСТНОЕ ВРЕМЯ. ВЕСТИ.-МОСКВА.
21.50 ПРЕМЬЕРА. Телеигра "Ставка".
22.25 "Концерт Михаила Задорнова".
23.35 Футбол. Суперкубок. "РЕАЛ" (Мадрид, Испания) - "ФЕЙЕНООРД" ( Голландия). Прямая трансляция из Монте-Карло.
01.50 Мел Гибсон в остросюжетном фильме "БЕЗУМНЫЙ МАКС".

## НТВ

07.00 Сегодня.
07.05 Утро на НТВ.
07.30 Сегодня.
07.35 Криминал.
08.00 Сегодня.
08.30 Сегодня.
08.35 Криминал.
09.00 Сегодня.
09.30 Сегодня.
09.35 Все сразу!
10.00 Мелодрама "ПЕСКИ ВРЕМЕНИ"
11.00 Сегодня.
11.25 Совершенно секретно.
12.15 Служба спасения.
12.50 Вкусные истории.
13.00 Сегодня.
13.20 Криминал.
13.35 "ЖЕНСКИЙ ВЗГЛЯД" Оксаны Пушкиной.
14.00 "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО" (США)
15.00 Сегодня.
15.05 Ток-шоу. "Принцип "Домино".
16.20 "Пепси-чарт".
17.00 Сегодня.
17.30 "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ - 2"
18.40 "Внимание: розыск!"
19.40 Криминал.
20.00 Сегодня.
20.40 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"
21.50 "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ - 2"
23.00 Сегодня.
23.35 "НИЧЕГО НЕ ВИЖУ, НИЧЕГО НЕ СЛЫШУ"
01.40 "Все сразу!"
02.15 - 04.00 "УЖИН В ЧЕТЫРЕ РУКИ".

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"


# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.